დანართი №3

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების „შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნანა შარაბიძე

წევრები:

ჯილდა აბაშიძე

ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

თეა ბარამაშვილი

თორნიკე თუთარაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 212807550
სახე:

- ☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- ■ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- ☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

დაწესებულების ავტორიზაცია

- ■ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)
- ☐ დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 22.04.2025 წლის №431173 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე);
2. ჯილდა აბაშიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი);
3. ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნვლყოფის ექსპერტი (წევრი);
4. თეა ბარამაშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი) „გრაფიკული დიზაინი";
5. თორნიკე თუთარაშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი) „კომპიუტერული ქსელი და სისტემები".

ავტორიზაციის ექპერტთა ჯგუფს დაევალა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების „შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი", პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლის სტატუსის მოპოვების მიზნით, პირობების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, რისთვისაც ჯგუფმა დაგეგმა და განახორციელა ვიზიტი შპს ქართულ-ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესში (მის. საქართველო, ქ.ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზ №20) 2025წლის 20,21 და 22 მაისს (ნანა შარაბიძე და ჯილდა აბაშიძე), ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა 21 მაისს, ხოლო თეა ბარამაშვილმა და თორნიკე თუთარაშვილმა 22 მაისს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა ნანა შარაბიძემ და ჯილდა აბაშიძემ შეისწავლეს დაწესებულების პროფესიული განათლების ავტორიზაციის სტანდარტებთან (I,III,IV,V) შესაბამისობა, ხოლო 22 მაისს დარგის ექსპერტებთან თეა ბარამაშვილთან და თორნიკე თუთარაშვილთან ერთად დაწესებულების ორი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესაძლებლობის ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობა.
ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა 21 მაისს განახორციელა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების დროს გამოვლენილი გარემოებების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიბს ავტორიზაციის ექსპერტი- ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი
შპს.ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, ადამიანურ თუ მატერიალურ რესურსებთან პროფესიული პროგრამების თავსებადობის მიზნით, შეფასდა სკოლის მომავლის ხედვა (ფილოსოფია), ინფრასტრუქტურა (სასწავლო გარემო), ადამიანური (მათ შორის ადმინისტრაციული) რესურსების კვალიფიკაცია და სამუშაო დატვირთვა.
შეფასება დაეყრდნო დაწესებულების მიერ თვითშეფასების დოკუმენტით წარმოდგენილი მტკიცებულებებს, სკოლის ვიზუალურ დათვალიერებას,ინტერვიუს მოდულების განმახორციელებლებთან და სკოლის ადმინისტაციულ პერსონალთან.
პროფესიული პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია პროფესიული 28 მასწავლებელი, მათ შორის 10 ინტეგრირებული მოდულების მასწავლებელი. ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლები დასაქმებულები არიან ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებაშიც, შესაბამისად გადამოწმდა მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა, აღნიშნულის გათვალისწინებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დადგინდა, რომ ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლების სამუშო დატვირთვა როგორც ზოგად, ისე პროფესიული განათლების დაწესებულებაში შესაძლებელს ხდის ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შეუფერხებლად განახორციელონ სასწავლო პროცესი.

რაც შეეხება დაწესებულების ინფრასტრუქტურას, ვიზუალური დათვალიერებით, სივრცე სადაც განთავსდებიან პროფესიული სტუდენტები (ინტეგრირებული მოდულები), კერძოდ საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და სპორტული დარბაზი- სრულად არის აღჭურვილი. ვიზიტის პერიოდში საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის და სპორტული დარბაზის გამტარიანობის შეფასების მიზნით, ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე სკოლამ წარმოადგინა დამატებით მტკიცებულების სახით- დეტალური განრიგი, რომელშიც გაწერილია სპორტული დარბაზი და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია დროის რა პერიოდში იქნება გამოყენებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებისთვის და პროფესიული სტუდენტებისთვის . განრიგის შესწავლით დადგინდა, რომ აღნიშნული და შესაძლებლობას იძლევა როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე პროფესიული პროგრამები განხორციელდეს შეუფერხებლად.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა შესალებელს ხდის სრულფაოვანი ადმინისტრაციული მხარდაჭერა-დაგეგმვის, კონტროლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, პროფესიული სტუდენტისთვის სრულფასოვანი სერვისების მიწოდების უზრუნველსყოფად.დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას.

დასკვნა - ყველა პროცესის და ასპექტის რეალისტურად გააზრების საფუძველზე შესაძლებელია დაწესებულებამ ეფექტიანად დაგეგმოს და განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ისე რომ არ შეუქმნას საფრთხე ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას.

ვიზიტის ფარგლებში მოხდა დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული პროგრამების განმახორციელებლებთან და პროგრამების ხელმძღვანელებთან გასაუბრება, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის განკუთვნილი სასწავლო და დამხმარე სივრცეები.

ვიზიტმა თანამშრომლობით, მშვიდ და საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა.

III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

პროგრამის სახელწოდება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	პროგრამის განხორციელების ადგილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კომპიუტერული ქსელი და სისტემები	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ სასწავლო გარემოში		ქ. ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზ№20
გრაფიკული დიზაინი	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ სასწავლო გარემოში		ქ. ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზ№20

IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველადი ავტორიზაციის შემთხვევაში. ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
1.1) პსდ-ს მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4) ადამიანური რესურსები	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
გრაფიკული დიზაინი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ გამოვლენილა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

არ გაცემულა

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულება არგუმენტირებულ პოზიციაში დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს

შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის მიზანს წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და ამავდროულად, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება. შესაბამისად, სკოლის მისია უკავშირდება ზოგადი განათლების მიზნებს და ამავდროულად გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მიზნები. კერძოდ, მისიით გაცხადებულია, რომ ,,შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი საერთაშორისო პროგრამების განხორციელებით, უცხოური ენების გაძლიერებული სწავლებით, STEM მიმართულების, სკოლამდელი და არაფორმალური, სამეწარმეო და პროფესიული განათლების საფუძველზე, უზრუნველყოფს დემოკრატიული ფასეულობების, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, მოტივირებული, კონკურენტუნარიანი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროგრესულად მოაზროვნე თაობის აღზრდას, რომელიც მზად იქნება, უპასუხოს თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს და საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენოს დასავლური ღირებულებები“. აღნიშნულით მისია ეხმიანება პროფესიული განათლების მეორე მიზანს - სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.
ასევე, სკოლის მისიის მიხედვით - ,,შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამების განხორციელებით სკოლა ხელს უწყობს უწყვეტ პროფესიულ განათლებას, რითაც თავისი წვლილი შეაქვს ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებაში“. აღნიშნულით სკოლის მისია ეხმიანება პროფესიული განათლების პირველ და მესამე მიზნებს: ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა.
<u>შესაბამისად, დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს.</u>

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;

სკოლის მისიით განსაზღვრულია სკოლის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სკოლა გამორჩეული იქნება იმით, რომ ის საქმიანობას განახორციელებს როგორც ზოგადი ასევე, პროფესიული განათლების მიმართულებით. ასევე, სკოლისთვის პრიორიტეტულია უწყვეტი განათლება და მისიით განსაზღვრულია სამომავლოდ საქმიანობა სკოლამდელი განათლების მიმართულებითაც. აღნიშნულით, სკოლა მართლაც გამორჩეული საგანმანათლებლო კერა იქნება. რაც შეეხება პროფესიული განათლების პროფილს, სკოლა არ აპირებს ვიწრო პროფილით მუშაობას, შესაბამისად, მისიაში გაცხადებულია, რომ განხორციელდება შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამები.
<u>შესაბამისად, მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან</u>

3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

სკოლის გენერალური დირექტორის 2023 წლის 05 სექტემბრის №02-102 ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით, სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებში განხორციელა ცვლილება/დამატება. მისიასთან ერთად დამტკიცებულია სკოლის ხედვა და ღირებულებები.
სკოლის ხედვა - შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი 2030 წლისთვის იქნება რეგიონში გამორჩეული საგანმანათლებლო სივრცე, სადაც ფორმალური და არაფორმალური განათლების გზით დაინტერესებულ პირებს შეეძლებათ როგორც ზოგადი, ასევე, სკოლამდელი და პროფესიული განათლების მიღება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების ადმინისტრაციის აზრით, მათი კურსდამთავრებულები 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებით აღჭურვილი მაღალმოთხოვნადი კადრები იქნებიან ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე.
სკოლის ღირებულებები: პროგრესულობა; თანასწორობა; სამართლიანობა; ზრუნვა; გამჭვირვალობა; გუნდურობა.
ღირებულებების დამტკიცების დოკუმენტში ასევე, მოცემულია ინფორმაცია იმის თაობაზე თუ რას მოიაზრებს სკოლა თითოეული ღირებულების მიღმა.
<u>შესაბამისად, დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები</u>

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გადამუშავებულია სკოლის გენერალური დირექტორის 2023 წლის 05 სექტემბრის №02-102 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით და გაზიარებულია მათ მიერ.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლა წარმოადგენს საქართველოში არსებული ავტორიზებული პროგრესის სკოლების ქსელში შემავალ დაწესებულებას, რომლებიც საერთო ღირებულებების გათვალისწინებით ახორციელებენ თავის საქმიანობას საგანმანათლებლო სივრცეში. შესაბამისად, გაზიარებულია ეს ღირებულებები.
მისიისა და ხედვის ფორმირების პროცესში გააზრებული იქნა ზოგადი და პროფესიული განათლების მიზნები, ასევე, ხედვა სკოლამდელი მიმართულებით საქმიანობასთან დაკავშირებით და ეს ყველაფერი აისახა დოკუმენტში.
მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე და ასევე, მეთოდოლოგიის შესაბამისად, გამოიკვრება სკოლის შენობაშიც.
ინტერვიუირებისას აღინიშნა, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული იქნება ყველა ახალი თანამშრომლისათვის, ასევე, სტუდენტებისათვის სწავლის დაწყებისთანავე. პარტნიორებთან კომუნიკაციასაც სკოლა იწყებს მისია, ხედვისა და ღირებულებების გაცნობით. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ამსახველი დოკუმენტები ვებ გვერდზე განთავსებული მტკიცებულებით. გაზიარების შესახებ ინფორმაცია დაადასტურეს სამუშაო ჯგუფის წევრებმა ინტერვიუიურების დროს.

<u>შესაბამისად, მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- ,,შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის მისიის, ხედვის და ღირებულებების დამტკიცების შესახებ“ ,,შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2023 წლის 02 ოქტომბრის №02/ 128 ბრძანება;
- ,,შპს ქართულ- ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2023 წლის 05 სექტემბრის №02/101 ბრძანება; (ცვლილება- № 00018628; 16.11.2024);
- ,,შპს ქართულ - ამერიკული სკოლა პროგრესის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით, სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებში ცვლილება/დამატების შეტანის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“ სკოლის გენერალური დირექტორის 2023 წლის 05 სექტემბრის №02/102 ბრძანება;
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები;
- სამუშაო ჯგუფის წევრთა ინტერვიუირება;
- სკოლის ვებ გვერდზე განთავსებული მისია, ხედვა და ღირებულებები

შეფასება

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;

შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2023 წლის 05 სექტემბრის №02/101 ბრძანებით (ცვლილება- № 00018628; 16.11.2024); დამტკიცებულია ,,შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია“, რომლითაც სკოლა ხელმძღვანელობს სტრატეგიული დაგეგმვისა თუ ერთწლიანი გეგმების შემუშავებისას.

სკოლის მიერ მეთოდოლოგია იმგვარადაა ჩამოყალიბებული, რომ გათვალისწინებულია სკოლის საქმიანობა განათლების სხვადასხვა მიმართულებების ფარგლებში.

<u>შესაბამისად, პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას</u>

2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;

შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიის მესამე მუხლით განსაზღვრულია სკოლის სტრატეგიული განვითარების პოლიტიკის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის პრინციპები. აღნიშნულ პრინციპებია: თანამონაწილეობა; დაინტერესებული მხარეების მოლოდინის გათვალისწინება; გამჭვირვალობა; ანგარიშვალდებულება; ქვეყნის/რეგიონის/თემის ინტერესების გათვალისწინება.

ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტების გათვალისწინება უზრუნველყოფილია როგორც სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შემუშავებაში შესაბამისი კვალიფიციური პირების (დამსაქმებლების/ადგილობრივი მუნიციპალიტეტების/თვითმმართველობების წარმომადგენლები) ჩართულობით, ასევე, არსებული შრომის ბაზრის კვლევების ანალიზითა ან/და გაზიარებით;

დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სკოლა პროგრესის სამუშაო ჯგუფის ფარგლებში შესწავლილია არაერთი კვლევა შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით. მაგ: გაანალიზებულია შრომის ბაზრის კვლევის ელექტრონული სისტემა: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შექმნილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პლატფორმა, რომელიც მოიცავს შრომის ბაზრის სხვადასხვა ასპექტს, მათ შორის დასაქმების სტრუქტურას, უნარების შეფასებას და სამუშაო ძალის განვითარებას.

შრომის ბაზრის კვლევები: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებული ბოლო 5 წლის პერიოდში ჩატარებული სხვადასხვა კვლევა, რომლებიც ეხება შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და პროფესიული განათლების შესაბამისობას.

ა(ა)იპ პროფესიული უნარების განვითარების სააგენტოს მიერ 2024 წელს ჩატარებული კვლევები რეგიონების მიხედვით შრომის ბაზარზე მოთხოვნად, მათ შორის დეფიციტურ პროფესიებთან დაკავშირებით. ,,პროფესიული განათლება, დასაქმება და ახალგაზრდები იმერეთის რეგიონში" (კვლევის ანალიზის დოკუმენტი). დაფიქსირებულია კონკრეტულ სპეციალობებზე მოთხოვნა სექტორების მიხედვით, რასაც სკოლა სამომავლოდ გაითვალისწინებს საკუთარი საქმიანობის დაგეგმვისას. პირველ ეტაპზე პრიორიტეტულად განისაზღვრა IT მიმართულების ინტეგრირებული პროგრამების დანერგვა.

შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის წევრებთან კომუნიკაციით დადასტურდება, რომ სკოლას აქვს ხედვა და მზაობა ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტების გათვალისწინებით დანერგოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. აღნიშნული გათვალისწინებულია სკოლის შვიდწლიანი (2023-2030) სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო (2024-2025 სასწავლო წელი) გეგმების შემუშავების დროს.

<u>შესაბამისად, სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს</u>

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

შპსქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია იმგვარადაა შემუშავებული, რომ სტრატეგიული დაგეგმვისას სკოლა განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას სკოლა განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს: ადამიანურსა და ფინანსურს. კერძოდ, მეთოდოლოგიას დანართების სახით ახლავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების სტრუქტურის ნიმუშები, რომლის მიხედვითაც შემუშავებული იქნა აღნიშნული დოკუმენტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

<u>შესაბამისად, დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის მისიის, ხედვის და ღირებულებების დამტკიცების შესახებ“ ,,შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2023 წლის 02 ოქტომბრის №02/ 128 ბრძანება;
- ,,შპს ქართულ- ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2023 წლის 05 სექტემბრის №02/101 ბრძანება; (ცვლილება- № 00018628; 16.11.2024);
- ,,შპს ქართულ - ამერიკული სკოლა პროგრესის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით, სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებში ცვლილება/დამატების შეტანის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“ სკოლის გენერალური დირექტორის 2023 წლის 05 სექტემბრის №02/102 ბრძანება;
- სკოლის გენერალური დირექტორის 2023 წლის 21 დეკემბრის №02/196 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის სტრატეგიული განვითარების გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ სკოლის გენერალური დირექტორის 2024 წლის 16 დეკემბრის №21439 ბრძანება;
- სკოლის გენერალური დირექტორის 2024 წლის 08 სექტემბრის №06/08 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა“;
- სკოლის გენერალური დირექტორის2024 წლის 03 სექტემბრის №06/03 ბრძანება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სამუშაო შეხვედრების მტკიცებულებები;
- სამუშაო ჯგუფის წევრებთან ინტერვიუ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

დაწესებულების მიერ შემუშავებული ,,მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგია“ ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას (მუხლი 15). მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების, პარტნიორების ჩართულობას სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შეფასების პროცესში.

ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ უკუკავშირი შესაძლებელია მიღებული იქნას სამუშაო შეხვედრების ფარგლებში ან წერილობით, მათ შორის, სკოლის ელექტრონულ მისამართზე გადმოგზავნით.

<u>შესაბამისად, პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით</u>

2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;

მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგის მიხედვით (მუხლი 15), სტრატეგიული და სამოქმედო მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით, გენერალური დირექტორის სახელზე წარადგენს ინიცირების წერილს სტრატეგიულ/სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
მეთოდოლოგიის მესამე თავით დარეგულირებულია ცვლილების პროცედურა, რომელიც თავის მხრივ, გეგმების ცვლილების ერთ-ერთ საფუძვლად მოიაზრებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის/შეფასების შედეგებს.
<u>შესაბამისად, პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე</u>;

3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგის მიხედვით (მუხლი 16), სტრატეგიული განვითარების გეგმის/სამოქმედო გეგმის საბოლოო შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება გენერალურ დირექტორს. ანგარიშ(ებ)ი საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება სკოლის ვებ გვერდზე. რისთვისაც სკოლის ვებ. გვერდზე გათვალისწინებულია ანგარიშების ველი.
შესაძლებელია, ანგარიშის დაინტერესებული პირებისთვის გაზიარება, ელექტრონული ფოსტის ან კომუნიკაციის სხვა არხების გამოყენებით.
სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმის (2023-2024) შესრულების ანგარიში.
<u>შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,შპს ქართულ- ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების, სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასების და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ შპს ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2023 წლის 05 სექტემბრის №02/101 ბრძანება; (ცვლილება- № 00018628; 16.11.2024);
- სკოლის ვებ გვერდი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შეფასება

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;

პროფესიული სტუდენტების კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას შემუშავებული და გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს სხვადასხვა მექანიზმი.

შპს ქართულ- ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის პროფესიული განათლების მიმართულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც დამტკიცებულია 2024 წლის 23 დეკემბერს არეგულირებს შემდეგ საკითხებს: პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, პროფესიული სტუდენტის შიდა და გარე მობილობა, მიღებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ფორმალური განათლების აღიარება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, სასწავლო პროცესის მართვასა და უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები, პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები, წახალისებისა და დისციპლინური დევნის საკითხები, სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები და სხვ.

სკოლაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის საკითხი რეგულირდება გენერალური დირექტორის 2025 წლის 17 მარტის №00003764 ბრძანების შესაბამისად.

პროფესიულ სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებით (გარდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა) სკოლის გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია;

,,პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი"; ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესი"; ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი".

<u>შესაბამისად, პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა</u>

2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის N0021906 ბრძანების პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, მე-9 მუხლით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების უფლებები, მოვალეობები, შეზღუდვები და სხვა რეგულაციები უნდა იქნას გაცნობილი პროფესიული სტუდენტისთვის, რაც უნდა დადასტურდეს სხვადასხვა სახის მტკიცებულებით (სასწავლო ხელშეკრულება ან/და ვებ გვერდზე ინფორმაციის განთავსება ან/და სასწავლო წლის დასაწყისში პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრის, მათთვის რეგულაციების გაცნობის მტკიცებულებები).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ყოველი ახალი ნაკადის პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელებისთვის მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მექანიზმების გაცნობის პასუხისმგებლობა აკისრია პროფესიული და უწყვეტი განათლების მხარდაჭერის სპეციალისტს. აღნიშნული დასტურდება პროფესიული და უწყვეტი განათლების მხარდაჭერის სპეციალისტის სამუშაო აღწერილობით.

პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი გარანტიების უზრუნველყოფის მექანიზმები განთავსებულია ვებ. გვერდზე.

სკოლის ხარისხი უზრუნველყოფის პოლიტიკა ითვალისწინებს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შეფასებას პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხრიდან. სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარი სადაც შეფასდება, თუ რამდენად უზრუნველყოფილია სკოლაში პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა.

ზემოაღნიშნულით ვადასტურებთ, რომ პროფესიული სტუდენტებს სკოლაში ექნებათ მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შესახებ რეგულაციების გაცნობისა და მათი გამოყენების შესაძლებლობა.

<u>შესაბამისად, პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს</u>

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას არეგულირებს შემდეგი დოკუმენტები: შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირეტქორის 2024 წლის 23 დეკემბრის № 00021906 ბრძანებით ,,პროფესიული განათლების მიმართულები ,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“; დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის № 00021905 ბრძანებით ,,პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“; დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის № 00021902 ბრძანებით ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესი“;

,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი“.

ყველა ზემოაღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებულია შეფასების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების სისტემა. კერძოდ, დოკუმენტებში გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების საკითხები როგორც შეფასებამდე, ასევე, მიღებული შეფასების თაობაზე. განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, ეს ცალკეულ შემთხვევებში არის პროფესიული განათლების მასწავლებელი ან/და პროფესიული და უწყვეტი განათლების მხარდაჭერის სპეციალისტი (აღნიშნული გათვალისწინებულია მისი სამუშაო აღწერილობით).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროფესიულ სტუდენტებთან საკომუნიკაციოდ, გარდა პირისპირ კომუნიკაციისა, გათვალისწინებულია ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემა/სტუდენტის პირადი ელექტრონული ფოსტის მისამართი. პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლებლის დომეინზე დაფუძნებული ელ - ფოსტების შექმნის ვალდებულება განსაზღვრულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერის სამუშაო აღწერილობით.

ყველა ზემოაღნიშნული მექანიზმით გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების გასაჩივრების (აპელაციის) წესი.

<u>შესაბამისად, პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით</u>

4. პსდ-სა სტუდენტს და პროფესიულ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

პროფესიულ დანართებად საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტსა და სკოლას შორის ფორმდება სასწავლო ხელშეკრულება, სწავლის დაწყების თარიღამდე. არასრულწლოვანი/ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე/ქმედუუნარო/მხარდაჭერის მიმღები პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში სასწავლო ხელშეკრულება ფორმდება პროფესიული სტუდენტის კანონიერ წარმომადგენელთან/მეურვესთან/მზრუნ ველთან/მხარდამჭერთან.

აღნიშნული საკითხი დარეგულირებულია გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შპს ქართულ- ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესში პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესით (მუხლი 16) და სკოლა თავის საქმიანობას განახორციელებს აღნიშნული წესის შესაბამისად.

<u>შესაბამისად, პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა</u>

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის პროფესიული განათლების მიმართულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-15 მუხლი არეგულირებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესსა და პროცედურას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება ხდება, როცა:

ა) პროფესიული განათლების მასწავლებლის დაკვირვებით, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან თანამშრომლობით, იკვეთება სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება;

ბ) ისგ-ს შემუშავებასთან დაკავშირებით სკოლას მიმართავს სსსმ პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი;

გ) მობილობის საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის მიერ უკვე მიღწეული/დადასტურებული სწავლის შედეგები განსხვავებულია სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისგან შესაბამისი პერიოდისთვის;

დ) სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის, პროგრამის ცვლილებიდან გამომდინარე, იკვეთება გამოწვევა ცალკეული მოდულების კრედიტების ათვისებასთან დაკავშირებით;

ე). საჭიროება შესაძლებელია გამოიკვეთოს სხვა მიზეზით, რომელიც არ არის გათვალისწინებული სკოლის წესით და სპეციალურად შექმნილი კომისია შეისწავლის საკითხს.

<u>შესაბამისად, პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის № 00021906 ბრძანებით დამტკიცებული „შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის პროფესიული განათლების მიმართულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2024 წლის 17 მარტის № 00003764 ბრძანებით - შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესი და პროცედურები;
- შპს ქართულ- ამერიკული სკოლა პროგრესის 2025 წლის 20 მაისის № 00007598 ბრძანებით „შპს ქართულ- ამერიკული სკოლა პროგრესის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ შპს ქართულ -ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2023 წლის 06 სექტემბრის №02/112 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის № 00021905 ბრძანებით ,,შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“;
- შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის № 00021902 ბრძანებით შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესი;
- შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის № 00021868 ბრძანებით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი“.

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მო მსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

1. პროფესიული სტუდენტი პსდ სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტის უფლება მიიღოს სკოლისგან მხარდაჭერა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. პროფესიული სტუდენტის აკადემიური უნარების გაუმჯობესების მიზნით, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები უზრუნველყოფენ პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალურ კონსულტირებას. ჯგუფური კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციის გრაფიკს ადგენს მხარდაჭერის სპეციალისტი. პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახურის უფროსის უშუალო მოვალეობა შეხვედრების განხორციელება პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მიერ სასწავლო მასალის უკეთ დაძლევის მეთოდების საკითხებზე, ასევე, შეფასების საკითხებთან დაკავშირებით, აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად.

აღნიშნული მოვალეობები გათვალისწინებულია ზემოაღნიშნულ პირთა სამუშაო აღწერილობებით.

სკოლის ხარისხი უზრუნველყოფის პოლიტიკა ითვალისწინებს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შეფასებას პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხრიდან. სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები სადაც შეფასდება, პროფესიული სტუდენტი იღებს თუ არა სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. მტკიცებულებებად წარმოდგენილია კითხვარები და კვლევის მეთოდოლოგიები.

<u>შესაბამისად, პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად</u>

2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, პროფესიული სტუდენტი, სკოლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით, უფლებამოსილია შესაბამისი თანამდებობის პირებისაგან მიიღოს მხარდაჭერა მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით. პროფესიული და უწყვეტი განათლების მხარდაჭერის სპეციალისტის სამუშაო აღწერილობის მიხედვით მისი მოვალეობაა ახალჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის/ინტეგრაციის მხარდაჭერა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სკოლის ხარისხი უზრუნველყოფის პოლიტიკა ითვალისწინებს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შეფასებას პროფესიულ სტუდენტთა მხრიდან. სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარი სადაც შეფასდება, თუ რამდენად უწყობს სკოლა ხელს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

<u>შესაბამისად, პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან</u>

3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;

შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს ადმინისტრაციული, აკადემიური, კარიერული მხარდაჭერით და მხარდაჭერა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გონივრულ ვადებში. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა მოვალეობებით განსაზღვრული აქვს პროფესიულო და უწყვეტი განათლების სამსახურის თანამშრომელს მას ევალება ერთგვარი მაკოორდინირებლის როლის შესრულება პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მიზნებისთვის.

ამასთან, აღნიშნული საკითხი შეფასებადია ხარისხის მართვის სამსახურის მიერ. სკოლის ხარისხი უზრუნველყოფის პოლიტიკა ითვალისწინებს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შეფასებას პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხრიდან. სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კითხვარები სადაც შეფასდება სკოლის მხრიდან ადმინისტრაციულ მხარდაჭერის საკითხი.

<u>შესაბამისად, პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას</u>

4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;

შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით (მე 12 მუხლი), გათვალისწინებულია დამატებითი/არაფორმალური აქტივობების, სტუდენტის ინიციატივების მხარდაჭერა და წახალისება. დოკუმენტში გაწერილია ინიცირების წესი და პროცედურა.

პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახური უზრუნველყოფს სკოლაში დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

აღსანიშნავია, რომ სკოლის სტრუქტურით გათვალისწინებულია ინოვაციური და არაფორმალური განათლების სამსახური და აღნიშნული ორი სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს კოორდინირებულად. სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის მე-4 სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მხარდაჭერის სერვისების განვითარება და აღნიშნული მიზნის მისაღწევად ერთ- ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა - ექსტრაკურიკულური პროექტებისა და აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა.

<u>შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას</u>

5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ადმინისტრაციული, კარიერული ისარგებლოს აკადემიური, მხარდაჭერით და მხარდაჭერა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გონივრულ ვადებში.

სკოლის გენერალური დირექტორის 2023 წლის 21 დეკემბრის № 02/195 ბრძანებით დამტკიცებულია ,,პირველადი გადაუდებელი დახმარების, სკოლის სამედიცინო მომსახურების კაბინეტის ფუნქციონირების წესი", რომელიც შემუშავებულია საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ბრძანების შესაბამისად.

სამედიცინო კაბინეტი განთავსებულია პირველ სართულზე და ის სრულად არის აღჭურვილი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

<u>შესაბამისად, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები</u>

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;

სკოლაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი. წარმოდგენილია ,,შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ" სკოლის გენერალური დირექტორის 2024 წლის 08 თებერვლის № 02/17 ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2024 წლის 29 იანვრის №MIA 5 24 00252555 შეთანხმების წერილი.

<u>შესაბამისად, დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

სკოლის სტრუქტურით გათვალისწინებულია საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სამსახური, რომლის ფუნქციაა სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. უსაფრთხოების კოორდინატორები სკოლის უზრუნველყოფენ ტერიტორიაზე წესრიგის დაცვას. არასამუშაო პერიოდში სკოლის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს დარაჯი.

სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეოსათვალთვალო კამერებით. ვიდეომონიტორინგის /აუდიომონიტორინგის განხორციელება მიმდინარეობს კანონმდებლობის ფარგლებში და დარეგულირებულია საკითხი პერსონალური მონაცემების დაცვის წესის ფარგლებშიც. სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი, შეთანხმებულია განათლების, რომელიც საქართველოს მეცნიერების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან.

<u>შესაბამისად, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს ქართულ ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესში სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები;
- ცენტრალური გათბობის, კომუნალური გადასახადების გადახდის მტკიცებულებები;
- სსიპ - ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან გაფორმებული ხელშეკრულება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ფარგლებში ექსპერტის მიერ მომზადებული დასკვნა;
- შპს ქართულ - ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესსა და შპს ,,ჯეო სეიფთი“ შორის 2023 წლის 01 დეკემბერს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება;
- შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული სპეციალისტების სერტიფიკატები;
- შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/შეთანხმებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- ,,შპს ქართულ ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების თაობაზე“ შპს ქართულ ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის 2023 წლის 21 დეკემბრის №02/194 ბრძანება;
- შპს „ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის“ დირექტორის 2025 წლის 02 აპრილის №4631 ბრძანებით დამტკიცებული შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების/თანამდებობების ძირითადი ფუნქცია და თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა და საშტატო განრიგი;

- ,,შპს ქართულ- ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ სკოლის გენერალური დირექტორის 2024 წლის 08 თებერვლის № 02/17 ბრძანება;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2024 წლის 29 იანვრის №MIA 5 24 00252555 შეთანხმების წერილი.
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დასკვნა შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების თაობაზე (№MIA 8 24 03677806; 03.12.2024) და სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი № 518; 27.11.2024
- ,,შპს ქართულ ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის პირველადი გადაუდებელი დახმარების, სამედიცინო მომსახურების კაბინეტის ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ქართულ ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის 2023 წლის 21 დეკემბრის №02/195 ბრძანება;
- პასუხისმგებელ პირთა პირადი საქმეები და მათთან გასაუბრება.

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;

სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს. კერძოდ, სკოლაში IT ინფრასტრუქტურა გამოყენებულია ადმინისტრაციული პროცესების წარმართვისა და სასწავლო პროცესის წარმართვისთვის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ასევე პროფესიული განათლების მიზნებისთვის. ინფრასტრუქტურა მოიცავს კომპიუტერულ სისტემებს, ქსელურ რესურსებს, ინტერნეტ კავშირს და სხვა აუცილებელ ციფრულ ინსტრუმენტებს, რომლებიც სწავლებისა და სამუშაო პროცესების გამართულად წარმართვისთვის არის საჭირო. ინტერნეტ მომსახურებასთან დაკავშირების სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ინტერნეტ პროვაიდერთან შპს ,,ტელეკომ 1“ სკოლაში არის როგორც კაბელური ასევე უსადენო ინტერნეტ დაფარვა. სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების მატერიალური რესურსის ფლობა დასტურდება შპს „პროგრესი კაპიტალ გრუპს“ და შპს ,,ქართულ - ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესს“ შორის გაფორმებულ იჯარის ხელშეკრულებით (მასში შეტანილი ცვლილებით) და მიღება - ჩაბარების აქტ(ებ)ით.

<u>შესაბამისად, პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;

სკოლის გენერალური დირექტორის 2023 წლის 25 დეკემბრის №02/160 ბრძანებით განსაზღვრულია სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების პროცესების, რისკების ეფექტიან მართვას: ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის უსაფრთხოდ გამოყენების, შეფასებისა და განვითარების მექანიზმებს. სკოლის სტრუქტურით გათვალისწინებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახური. ხელშეკრულება გაფორმებულია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის, პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირთან, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს გენერალური დირექტორის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული სამუშაო აღწერილობისა და IT ტექნოლოგიების მართვასთან დაკავშირებით სკოლის პოლიტიკის გათვალისწინებით. აღნიშნული დადასტურდება ვიზუალური დათვალიერებითა და პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუთაც.

<u>შესაბამისად, პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების</u>

3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და მონიტორინგის მექანიზმები. წესით განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები, პროცედურები და განსაზღვრულია მონაცემთა სუბიექტის უფლებები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი. აღნიშნული უზრუნველყოფილია შპს „ჯეო სეიფთი“ სთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში. ოფიცრის შესახებ ინფორმირებულია პერსონალური მონაცემების დაცვის სამსახური. ოფიცერი უზრუნველყოფს საჭირო შიდაორგანიზაციული რეგულაციების შემუშავებას, დანერგვას და ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მონიტორინგს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2025 წელს ოფიცერმა სკოლას მიაწოდა და სკოლამ დაამტკიცა ორი განახლებული რეგულაცია: პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა და მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტი. სკოლა თავის საქმიანობას წარმართვას ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით. მტკიცებულებები- დანართი №22

<u>შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას</u>

4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;

სკოლის გენერალური დირექტორის 2023 წლის 25 დეკემბრის №02/160 ბრძანებით დამტკიცებული სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულია სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების პროცესების, რისკების ეფექტიან მართვა, რაც რეალურად დანერგილია სკოლაში. IT თანამშრომელი უზრუნველყოფს ტექნიკური მოწყობილობების მონიტორინგს, გამართულად მუშაობის შემოწმებას და მწყობრიდან გამოსული ტექნიკის იდენტიფიცირებას. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირი განახორციელებს IT ინფრასტრუქტურის გამართულობის შემოწმებას, შეფასებას და მომდევნო სასწავლო წლის ბიუჯეტირებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, წარმოადგენს კონკრეტულ წინადადებებს IT ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების თაობაზე. ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემის ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია პერიოდულად წარმოადგინოს ინიციატივები უახლესი IT ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის თანამედროვე ტექნოლოგიებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. სკოლა უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკის აპარატურულ და პროგრამულ განახლებას ადმინისტრაციული საქმიანობის და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით.

<u>შესაბამისად, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;

ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გამოყენებას ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო საქმიანობის პროცესში, ასევე, სკოლის IT ინფრასტრუქტურის საგანმანათლებლო საქმიანობის მიღმა გამოყენებას.

სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტ დაფარვით. აღნიშნული დადასტურდება როგორც ადგილზე, მათ შორის, უკაბელო ინტერნეტის ადგილზე შემოწმების შედეგით. ინტერნეტმომსახურება უზრუნველყოფილია ინტერნეტპროვაიდერთან შპს- თან ,,ტელეკომ 1“ 2025 წლის 06 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში.

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასება განხორციელდება ხარისხის მართვის სამსახურის მიერ, დაინტერესებულ პირთა კმაყოფილების კვლევის გზით. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე შემუშავდება რეკომენდაციები, რასაც სკოლა დაეყრდნობა განვითარების მიზნებისათვის.

<u>შესაბამისად, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;</u>

6. პსდ პროფესიულ უზრუნველყოფს სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის მიხედვით, სკოლა უზრუნველყოფს ერთიანი საკომუნიკაციო სისტემის შექმნას. სკოლის პერსონალთან და სასწავლო პროცესში ჩართულ პირებთან კომუნიკაციის შესაძლო არხებია ელექტრონული საქმისწარმოება, ვებ გვერდი, სოციალური ქსელი (Facebook გვერდი), ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო კომუნიკაცია. სკოლის მოსწავლეებთან, მათ კანონიერ წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან კომუნიკაცია ხორციელდება ელექტრონული ჟურნალის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

(EduPage) მეშვეობით. ყველა მოსწავლეს, მასწავლებელს, მშობელს, ადმინისტრატორს აქვს წვდომა სასწავლო პლატფორმაზე მომხმარებლის სახელისა და პაროლის გამოყენებით. სკოლის პერსონალს, მოსწავლეებს აქვთ, ხოლო პროფესიულ სტუდენტებს ექნებათ სასწავლებლის დომეინის მქონე ინდივიდუალური ელექტრონული ფოსტები, ელ.ფოსტა გამოიყენება მხოლოდ საგანმანათლებლო მიზნით. სკოლის დომეინზე დაფუძნებული ელ - ფოსტების შექმნასა და შემდეგ გაუქმებაზე პასუხისმგებელია IT თანამშრომელი. საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული პროგრამების სასწავლო ჯგუფებთან კომუნიკაციისთვის გამოყენებული იქნება სოციალური ქსელის დახურული ჯგუფები. სკოლის საქმიანობის შემადგენელი პროცესების სრულყოფილად წარმართვისთვის შექმნილია სპეციალიზებული ელექტრონული ფოსტა. საკონტაქტო ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე. სკოლა ონლაინ ჩართვებისთვის და საჭიროების შემთხვევაში, ონლაინ მეცადინეობებისთვის, იყენებს/გამოიყენებს შესაბამისი ფუნქციების მქონე პლატფორმას/პლატფორმებს. სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტების წარმოებისა და შენახვისთვის სასწავლებელს შექმნილი აქვს საერთო ელექტრონული სივრცე, რომელსაც ტექნიკურ მხარდაჭერას უწევს IT თანამშრომელი.

<u>შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის, მატერიალური რესურსითა და ლაბორატორიებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ სკოლის გენერალური დირექტორის 2023 წლის 25 ოქტომბრის № 02/160 ბრძანება;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის თანამშრომლის პირადი საქმე;
- ,, შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ სკოლის გენერალური დირექტორის 2025 წლის 24 თებერვლის № 00002802 ბრძანება;
- ,,შპს ქართულ ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის მონაცემთა დაცვაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ სკოლის გენერალური დირექტორის 2025 წლის 24 თებერვლის № 00002798 ბრძანება;
- შპს ქართულ - ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესსა და შპს ,,ჯეო სეიფთი“ შორის 2023 წლის 01 დეკემბერს გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმება (14 ივნისი, 2024 წ.);
- ,,შპს ქართულ- ამერიკული სკოლა პროგრესის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2023 წლის 06 სექტემბრის №02/112 ბრძანება;
- მომსახურების ხელშეკრულება ინტერნეტპროვაიდერთან შპს- თან ,,ტელეკომ 1“ (2025 წლის 06 თებერვალი).

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი. ბოლო რედაქციით წესი დამტკიცდა 2024 წლის ბოლოს და გათვალისწინებულია ელექტრონული საქმისწარმოების (Eflow) წარმართვა. წესი შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით და სკოლა თავის საქმიანობას წარმართავს მის შესაბამისად.

<u>შესაბამისად, პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. საქმისწარმოება - საქმისწარმოების წესის მიხედვით ელექტრონული საქმისწარმოება - Eflow ინერგება ეტაპობრივად.

სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლაში 2024 წლის ბოლოს დაიწყო ელექტრონული საქმისწარმოების (eflow) დანერგვა. სკოლა არის კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრი და ორგანიზაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში სკოლის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი. ელექტრონულ საქმისწარმოებასთან დაკავშირებით განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა - სკოლა როგორც ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ჩართულია სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. ხოლო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ უკვე ჩაერთვება პროფესიული განათლების მართვის ელექტრონულ საინფორმაციო სისტემაშიც. სკოლისათვის პრიორიტეტულია თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა მართვაში. სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, სკოლის ორგანიზაციული მართვისა და რესურსების განვითარების მიზნის მისაღწევად ერთ - ერთი ამოცანაა თანამედროვე ელექტრონული მართვის სისტემების დანერგვა და განვითარება.

2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია: ელექტრონული საქმისწარმოების (Eflow) ეტაპობრივი დანერგვა; ტრენინგების ჩატარება თანამშრომლებისთვის, ასევე - HR Soft ის ეტაპობრივი დანერგვა.

<u>შესაბამისად, პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის</u>

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სკოლა როგორც ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ჩართულის სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში კანონმდებლობის შესაბამისად, ის საქმიანობას წარმართავს პროფესიული განათლების მიმართულებითაც.

საქმისწარმოებისა და ადმინისტრირების სამსახურის მენეჯერის სამუშაო აღწერილობის თანახმად, მის მოვალეობებში შედის რეესტრის წარმოება, მუშაობა როგორც ზოგადი ასევე, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (მაგალითად: პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის ასახვა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (ჩარიცხვა, შეწყვეტა, შეჩერება, მობილობა, გარდამავალი (მომლოდინე) სტუდენტის სტატუსი; კვალიფიკაციის მინიჭება); პროფესიული განათლების ფარგლებში განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სავალდებულო ინფორმაციის ასახვა; აღნიშნული დასტურდება სამუშაო აღწერილობით. უნდა აღინიშნოს, რომ საქმისწარმოების სამსახურის თანამშრომელს აქვს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო ბაზაში მუშაობის გამოცდილება.

<u>შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას</u>

4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებსა და უკუკავშირს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს: საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს, რესურსცენტრს. აღნიშნული დადასტურდება გაგზავნილი კორესპონდენციებით, ანგარიშებით, მოთხოვნილ ინფორმაციაზე დროული უკუკავშირით და სხვ.

<u>შესაბამისად, პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,შპს ქართულ ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ" სკოლის გენერალური დირექტორის 2024 წლის 11 ოქტომბრის № 00015009 ბრძანება;
- კერძო კოლეჯების ასოციაციასთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება ელექტრონული საქმისწარმოება - Eflow -ს მომხმარებლის შესყიდვასთან დაკავშირებით.
- სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები;
- საქმისწარმოებისა და ადმინისტრირების თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა;
- პასუხისმგებელი პირის პირადი საქმე.

- ,,შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესის დამტკიცების შესახებ" სკოლის გენერალური დირექტორის 2023 წლის 21 სექტემბრის № 02/122 ბრძანება;
- შპს პროსერვისთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება დომეინისა და ჰოსტინგის შესყიდვაზე (01.04.2024);

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;

სკოლის გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები. სტრუქტურით გათვალისწინებულია საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახური, რომლის მთავარი ფუნქციაა საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სკოლის მარკეტინგული საქმიანობის დაგეგმვა და უზრუნველყოფა. სამსახური ექვემდებარება გენერალურ დირექტორს. სამსახურმა შეიმუშავა და სკოლის გენერალური დირექტორის 2023 წლის 21 სექტემბრის №02/122 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, რომლის მიზანია; საქმიანობის გამჭვირვალობა; სანდო, უტყუარ და ობიექტურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა; საკომუნიკაციო მომსახურების გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობის ზრდა; საზოგადოების უკუკავშირი სკოლის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში. შესაბამისად, სკოლა თავის საქმიანობას წარმართვას წესის შესაბამისად. მე-5 მუხლი არეგულირებს სკოლის ვებ გვერდითა და სოციალური ქსელით კომუნიკაციის საკითხებს. სკოლას აქვს ოფიციალური ვერ გვერდი (progresskutaisi.ge), რომლის მეშვეობითაც სკოლა მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას. დომეინისა და ჰოსტინგის შესყიდვის თაობაზე მომსახურების ხელშეკრულება გაფორმებულია შ.პ.ს. პროსერვისთან. თვითშეფასების დანართად წარმოდგენილია ხელშეკრულებები.

სკოლის ვებ. გვერდის სტრუქტურა იმგვარადაა გამართული, რომ რომ ის იძლევა ინფორმაციას სკოლის ძირითადი და დამხმარე პროცესების თაობაზე, მათ შორის, პროფესიული განათლების მიმართულებით საქმიანობის მიმართულებით. ვებ გვერდს აქვს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქცია და უზრუნველყოფილია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი. ვებ გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. პროფესიული განათლებით დაინტერესებულ პირებს ვებ. გვერდი ასევე აწვდის ინფორმაციას: პროფესიული პროგრამების სახელწოდებებისა (კატალოგი) და ამ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების თაობაზე, პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების, სასწავლო და დასაქმების შესაძლებლობების და სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის სტრატეგიაში საზოგადოებასთან კომუნიკაციასა და მარკეტინგს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია კონკრეტული აქტივობები და საპროგნოზო ბიუჯეტი.

<u>შესაბამისად, პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს</u>

2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლის მისიით გაცხადებულია საერთაშორისო პროგრამების განხორციელება. შესაბამისად, სკოლის ვებ გვერდი არის როგორც ქართულენოვანი, ასევ ინგლისურენოვანი. სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესითაც გათვალისწინებულია, რომ ვებ. გვერდი ორ ენაზე იფუნქციონირებს.

<u>შესაბამისად, დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას.</u>

3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სკოლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, რომლის მიზანია; საქმიანობის გამჭვირვალობა; სანდო, უტყუარ და ობიექტურ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა; საკომუნიკაციო მომსახურების გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობის ზრდა; საზოგადოების უკუკავშირი სკოლის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების პროცესში. პროფესიული განათლებით დაინტერესებულ პირებს ვებ. გვერდი აწვდის ინფორმაციას: პროფესიული პროგრამის სახელწოდებებისა და ამ პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურების, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის (არსებობის შემთხვევაში), ჩარიცხვის პროცედურების, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების თაობაზე, პროფესიული სტუდენტებისთვის, მათ შორის სსსმ პირებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების, სასწავლო და დასაქმების შესაძლებლობების და სხვ. სამუშაო აღწერილობის მიხედვით, პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახურის უფროსის მოვალეობაა სანდო და უტყუარი ინფორმაციის მიწოდება ვებ. გვერდის მართვაზე პასუხისმგებელი პირისთვის პროფესიული განათლების მიმართულებით სკოლის მიმდინარე და დაგეგმილ საქმიანობაზე.

სკოლა თავის საქმიანობას წარმართავს მის მიერ შემუშავებული რეგულაციების შესაბამისად.

<u>შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.</u>

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;

სკოლის ვებ გვერდზე განთავსდება პროგრამების კატალოგი. ამ ეტაპზე განთავსებულია ანონსი. პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახურის თანამშრომელთა ფუნქცია - მოვალეობებით განსაზღვრულია ვებ. გვერდის მართვაზე პასუხისმგებელი პირისთვის კატალოგის მიწოდება. გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის ყოველწლიური (ასევე საჭიროებისამებრ) განახლება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

<u>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ</u>

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

პროფესიული პროგრამების კატალოგი პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახურის მიერ განახლდება ყოველწლიურად, ასევე, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად და მიეწოდება ვებ. გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ პირს.

აღნიშნული განსაზღვრულია სამსახურის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებით და სამომავლოდ დადასტურდება ვებ. გვერდის დათვალიერებით.

<u>შესაბამისად, პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად</u>

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს სხვადასხვა არხებს, მათ შორის, ვებ. გვერდს, სოციალურ გათვალისწინებული ქსელებს. საჯარო ღონისძიებები და გარე შეხვედრები და სხვა. საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი ითვალისწინებს უკუკავშირის მიღებასა და უკუკავშირის საქმიანობის საფუძველზე გასაუმჯობესებლად რეკომენდაციების შემუშავებას და გენერალური დირექტორისთვის წარდგენას. გარდა ამისა, სკოლის გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის თანახმად, საზოგადოებასთან ურთიერთობა გაანალიზებულია როგორც სკოლაში არსებული დამხმარე პროცესი. ხარისხის მართვის სამსახური შეფასებას ახორციელებს პროცესის დოკუმენტზე დაყრდნობით და რეკომენდაციებს, განხორციელების გაუმჯობესების მარეგულირებელ ან/და გასცემს პროცესის პრაქტიკის პროცესის აქტებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ. თავად ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი კი ითვალისწინებს დასკვნის შედგენას, რეკომენდაციების გაცემას და შემდეგ უკვე ამ რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სკოლას შემუშავებული პროფესიულ სტუდენტთა აქვს და კურსდამთავრებულთა კითხვარები და კვლევის მეთოდოლოგიები კითხვარები მოიცავს საკითხებს რომლითაც შეფასდება თუ როგორ წარმართავს სკოლა საზოგადოებასთან ურთიერთობას.

ყოველივე აღნიშნულით დასტურდება, რომ სკოლას აქვს შესაძლებლობა პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებით მიიღოს უკუკავშირი სხვადასხვა დაინტერესებული მხარისგან და და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე გააუმჯობესოს საქმიანობა.

<u>შესაბამისად, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები.
- სკოლის მისია, ხედვა ღირებულებები;
- სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- ვებ. გვერდის დათვალიერების შედეგი.

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;

ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსებულია ,,მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ შპს-ს გააჩნია საკუთარი კაპიტალი. ორგანიზაციის წესდება წარმოდგენილია თვითშეფასების №1 დანართის სახით. სკოლის ძირითად შემოსავლებს წარმოადგენს სწავლის გადასახადი და ვაუჩერული დაფინანსება. ამ ეტაპზე სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტი ქმნის საფუძველს სკოლის სტაბილურად ფუნქციონირებისათვის. პროფესიული განათლების მიმართულებით საქმიანობის დასაწყებად სკოლა იყენებს საკუთარ კაპიტალს. ასევე, მატერიალური რესურსი გადმოცემულია ,,კაპიტალ - გრუპს" მიერ, რომლის დამფუძნებელიც სკოლის გენერალური დირექტორის და შპს-ს მფლობელია. სკოლის სამოქმედო გეგმაში დაწესებულება ასახავს საჭირო ფინანსურ რესურსებს. 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობა განხორციელებადია სკოლის ფინანსური რესურსით.

<u>შესაბამისად, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება</u>

2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;

სკოლას გააჩნია საკუთარი ფინანსური რესურსები და საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

<u>შესაბამისად, საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით</u>

3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;

სკოლის სტრუქტურით გათვალისწინებულია ფინანსური და ბიზნესის განვითარების სამსახურის სტრუქტურული ერთეული, რომელსაც ხელმძღვანელობს ფინანსური და ბიზნესის განვითარების დირექტორი. სამსახური ექვემდებარება გენერალურ დირექტორს. სამსახურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ფუნქციაა სკოლის შემოსავლების ბიუჯეტის დაგეგმვა, შესრულების კონტროლი და მართვა; სკოლის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა.

სამსახურის უფროსის ძირითადი ფუნქციაა სკოლის ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ. სისტემის შემუშავება; სკოლის შემოსავლების ბიუჯეტის დაგეგმვა, შესრულების კონტროლი და მართვა. სკოლის ფინანსური ნაკადების მართვა.

სამსახურში ასევე გათვალისწინებულია 2 საშტატო ერთეული: ფინანსური ასისტენტი და ბუღალტერი. თანამშრომლებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილება აყალიბებს სისტემას, რომელიც რესურსების ეფექტურად დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის შესაძლებლობას იძლევა.

შესაბამისად, სკოლა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გააჩნია თავისი პოლიტიკა ფინანსური რესურსის მართვასთან დაკავშირებით და მის შესაბამისად წარმართავს თავის საქმიანობას.

<u>შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას</u>

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

სკოლა აფასებს საკუთარ ფინანსურ მდგრადობას, საკუთარ საქმიანობას წარმართავს კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით. სკოლა დარეგისტრირებულია ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების კანონმდებლობის პორტალზე შესაბამისად, ათავსებს ფინანსური ანგარიშებს.

<u>შესაბამისად, დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შპს ქართულ- ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის წესდება;
- გენერალური დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის სტრუქტურა და სტრუქტურულ ერთეულთა ფუნქცია მოვალეობები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე ფინანსური ანგარიშების განთასების მტკიცებულება.

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი - ბათუმის გენერალური დირექტორის ბრძანება №01-03/41; 20.03.2024წ.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზირი ქ. №20
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	40 პროფესიული სტუდენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	40 პროფესიული სტუდენტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117 კრედიტი

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის მისიით, ხედვითა და სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებულია საქმიანობა პროფესიული განათლების მიმართულებით და ეს ჩანს მისიაში, ხედვაშიც და სტრატეგიაშიც. მათ შორის, სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით №6 სტრატეგიული მიზანია - პროფესიული და უწყვეტი განათლების მიწოდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

უფრო კონკრეტულად კი, სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, სკოლა 2025 წელს გეგმავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვებას. სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით კი დაკონკრეტებულია, რომ სკოლა გეგმავს IT მიმართულების (მათ შორის, ინტეგრირებული მიდგომით) პროგრამების შემუშავებას და განხორციელების უფლების მოპოვებას. ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირება“ და დასაბუთებულია რომ დაწესებულების სამოქმედო არეალში არსებობს და პროგნოზირებადია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; ეროვნულ დონეზეც ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, არსებობს მოთხოვნა იმ უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

დაწესებულებას ჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი (პროგრამის განმახორციელებლები) საგანმანათლებლო პროგრამის - ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განსახორციელებლად. ასევე, მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტში მოყვანილია სხვა არგუმენტებიც, მათ შორის, ხაზგასმულია სახელმწიფოს პოლიტიკა ინტეგრირებული პროგრამების სკოლებში დანერგვასთან დაკავშირებით.

<u>შესაბამისად, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას</u>

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროგრამა ხორციელდება ორგვარი მიდგომით და კანონმდებლობის გათვალისწინებით, განსხვავებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები.

საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება.

საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც არ არის ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება.

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პროცედურა განსაზღვრულია ,,შპს ქართულ - ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესისა და პროცედურის დამტკიცების შესახებ” სკოლის გენერალური დირექტორის 2025 წლის 17 მარტის №.00003764 ბრძანებით. აღნიშნული წესის მე-6 მუხლის მიხედვით, სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გენერალური დირექტორი, ყოველწლიურად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, განსაზღვრავს აპლიკანტთა შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს (ეტაპების არსებობის შემთხვევაში), თითოეულ იმ საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რომელზეც შესაბამის წელს ცხადდება მიღება. სკოლა ისარგებლებს ა(აა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ რეკომენდებული შეფასების მეთოდით - მოტივაციური გასაუბრება და პროგრამის ორთავე მიდგომისთვის (პოზიციონირების პირველ წელს) იქნება შერჩევის მხოლოდ ერთი ეტაპი.

<u>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას</u>

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. კერძოდ, გენერალური დირექტორის 2025 წლის 17 მარტის № 3796 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიის მიხედვით, პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის გაანგარიშებისთვის გათვალისწინებულია: განსაზღვრული სასწავლო გარემო, მატერიალური რესურსი, ადამიანური რესურსი, პროგრამის განხორციელების მიდგომა, საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით დადგენილი რენტაბელობის ზღვარი, სხვადასხვა ცვლებში მუშაობის შესაძლებლობა, პროგრამის ხანგრძლივობა და სასწავლო გეგმის სპეციფიკა, პროგრამის მოთხოვნადობა, როგორც შრომის ბაზარზე, ასევე, აპლიკანტთა მხრივ. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დამტკიცებული მეთოდოლოგიით შესაბამისად, სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა მისაღები ოდენობა - 40 პროფესიული სტუდენტი (ჯგუფში მაქსიმუმ 20 სტუდენტი; სულ 2 ჯგუფი). მათ შორის, ინტეგრირებული მიდგომისთვისაც - 40 პროფესიული სტუდენტი.

<u>შესაბამისად, პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით</u>

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული რესურსი. ასევე, რესურსი შერჩეულ იქნა განმახორციელებელთა რეკომენდაციით, მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით. ინტეგრირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ზოგადი მოდულებისთვის ძირითად რესურსად განსაზღვრულია ა(ა)იპ უნარების სააგენტოს მიერ შემუშავებული რესურსი და ასევე მითითებულია დამატებითი სასწავლო რესურსი. მოდულებში მითითებული რესურსი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

<u>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას</u>

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

არ არის გათვალისწინებული

<u>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან</u>

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

,,პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესის და პროცედურის დამტკიცების შესახებ“ შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2025 წლის 18 თებერვლის №2466 ბრძანებით დამტკიცებული წესისა და პროცედურის პირველი თავის მე-16 მუხლის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

შესაბამისად, სკოლის გენერალური დირექტორის 2026 წლის 17 მარტის №3996 ბრძანებით დამტკიცდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“.

<u>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ</u>

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ფარგლებში და პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება მისანიჭებელ ვალიფიკაციას. კურსდამთავრებულს ენიჭება - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

<u>შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი</u>

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

სკოლაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია ეფუძნება დემინგის ციკლს. სკოლის გენერალური დირექტორის 2024 წლის 18 თებერვლის №2466 დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესი და პროცედურა.

აღნიშნული წესის მიხედვით, გენერალური დირექტორის 2025 წლის 18 თებერვლის №00002487 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი პროგრამის შემუშავების მიზნით შემდეგი შემადგენლობით: პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახურის უფროსი, პროგრამის განმახორციელებლები (წინარე ხელშეკრულებების ფარგლებში გათვალისწინებული პირები), პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები (პირები, რომელიც მოიაზრებიან პროგრამის ხელმძღვანელებად, ინტეგრირებული ზოგადი მოდულის განმახორციელებელი.

პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ საფუძველზე.

პროგრამა შემუშავებულია ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მიდგომებით და გათვალისწინებულია „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანების მოთხოვნები.

ასევე, ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, გათვალისწინებულია შუალედური შეფასებისა და და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება. შუალედური შეფასების პერიოდი განსაზღვრულია სასწავლო გეგმით.

არაქართულ ენაზე შერჩევის გზით ჩარიცხულ პირთათვის გათვალისწინებულია ,,ქართული ენა A2“ და ,,ქართული ენა B1“ მოდულების სწავლება და სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, მათთვის სწავლება გახანგრძლივდება 10 სასწავლო თვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

<u>შესაბამისად, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2024-2025 სასწავლო წელი);
- პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- ,,შპს ქართულ - ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესისა და პროცედურის დამტკიცების შესახებ“ სკოლის გენერალური დირექტორის 2025 წლის 17 მარტის №.3764 ბრძანება;
- ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ სკოლის გენერალური დირექტორის 2025 წლის 17 მარტის № 3796 ბრძანება.
- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული)
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესის და პროცედურის დამტკიცების შესახებ“ შპს ქართულ- ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2025 წლის 18 თებერვლის №2466 ბრძანება;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამტკიცების შესახებ“ 2025 წლის 17 მარტის №3996 ბრძანება;
- პროგრამის სრული პაკეტი- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“ სკოლის გენერალური დირექტორის 2025 წლის 18 თებერვლის №00002487 ბრძანება;
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების მტკიცებულებები და ჯგუფის წევრებთან ინტერვიუ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათი.

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიული პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია სკოლაში არსებული როგორც სასწავლო, ასევე მატერიალური რესურსით, რომელიც შეესაბამება პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობას - 40 პროფესიული სტუდენტი (2 ცვლაში) მათ შორის 40 ინტეგრირებული პროგრამისთვის. საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ერთი A, ერთი B/C გარემო. A გარემო, რომელშიც განთავსებულია - 20 მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისთვის. პროფესიული მასწავლებლისთვის განთავსებულია ერთი მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, დაფა, და პროექტორი. B/C გარემო სადაც განთავსებულია: 20 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტებისათვის, 1 პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის და შესაბამისი რაოდენობის სამუშაო ადგილი, პრინტერი, პროექტორი, დაფა, კარადა , და აქვე განლაგებულია დარგობრივი სწავლებისთვის განკუთვნილი, სტანდარტით გათვალისწინებული ყველა აღჭურვილობა (Cisco-ს კომუტატორები/მარშუტიზატორები, ქსელის ინსტრუმენტები და სხვა.) 2 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და სპორტული დარბაზი. ყველა გარემოში მატერიალური რესურსი გათვლილია ჯგუფში 20 პროფესიულ სტუდენტზე.

<u>შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით</u>

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 26 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 4 დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებელი და 7 განმახორციელებელი - ზოგადი მოდულების სწავლებისთვის. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლებისთვის სკოლას ჰყავს 15 განმახორციელებელი. . პირადი საქმეების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ თითოეული მათგანი შერჩეულია შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვაც, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

<u>შესაბამისად, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას</u>

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დაწესებულებას შერჩეული ჰყავს ზოგადი და პროფესიული მოდულების განმახორციელებელად პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კომპეტენცია.

<u>შესაბამისად, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია</u>

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ექსპერტთა შეფასებით პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც არის CISCO-ს ინსტრუქტორი. ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გაესაუბრება.

<u>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი</u>

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ექსპერტების მიერ განხორციელდა სკოლის ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით, აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია, ელექტრონული სახით. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ყველა მათგანი და დადასტურდა მათი ფონდში არსებობა. ბიბლიოთეკის მომსახურების ფარგლებში შესაძლებელია ამობეჭდვაც, სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერები, სადაც ჩატვირთულია ელექტრონული წიგნები, იქვეა განთავსებული პრინტერი სკანერით, რომლის გამოყენებაც შეუზღუდავად შეუძლიათ პროფესიული განათლების მასწავლებლებს და პროფესიულ სტუდენტებს.

<u>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში</u>

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გენერალური დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის №21906 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-18 მუხლი განსაზღვრავს სკოლის პოლიტიკას სკოლაში სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნასთან დაკავშირებით.

სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია პირველ სართულზე და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილია ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირთა თავისუფალი გადაადგილება. ამასთან, პროფესიული განათლების მიმართულებით საგანმანათლებლო რესურსის 100% გაციფრულებულია და შესაძლებელია მათი მიწოდება ყველა სტუდენტისთვის.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი არეგულირებს ისგ-ს შემუშავების წესსა და პროცედურას, მათ შორის სსსმ პირთათვის.

სკოლის საშტატო განრიგის მიხედვით, პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახურში გათვალისწინებულია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისა და სასწავლო პროცესის ასისტენტის საშტატო ერთეულები, რომლებიც ამ ეტაპზე ვაკანტურია. საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება მათი აყვანა.

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების შემუშავებისას სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინა სსსმ პირთა საგანმანათლებლო რესურსთ უზრუნველყოფის საკითხი.

სამუშაო აღწერილობების მიხედვით:

ა) ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი მონაწილეობს სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებით განპირობებული საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის პროცესში და სკოლის მენეჯმენტს აწვდის ინფორმაციას საჭირო მხარდაჭერის თაობაზე;

ბ) სასწავლო პროცესის ასისტენტი - საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო რესურსისა და სამუშაო მასალის ადაპტირებას.

გ) პროფესიული განათლების მასწავლებელი - სსსმ პროფესიული სტუდენტების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, ჩართულია პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსის მომზადების /ადაპტირების პროცესში.

<u>შესაბამისად, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად</u>

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. წარმოდგენილია ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მიდგომებისთვის საპროგნოზო ბიუჯეტები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ამ ეტაპზე ბიუჯეტი იმგვარად არის შემუშავებული რომ გათვალისწინებულია მისი ვაუჩერული დაფინანსების შესაძლებლობა, რადგან აღნიშნული პროგრამა უკვე ყველა წელია არის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი პროგრამების ნუსხაში. ასევე, დამატებითი დაფინანსების წყაროა თანადაფინანსება.
ბიუჯეტი დაანგარიშებული ერთი ჯგუფისთვის.
არაინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში რენტაბელობის ზღვარია - 12 პროფესიული სტუდენტი. ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში რენტაბელობის ზღვარია ასევე 12 პროფესიული სტუდენტი.
<u>შესაბამისად, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,პროფესიული განათლების მიმართულებით მატერიალური რესურსითა და მასალა - ნედლეულით უზრუნველყოფის, მათი სარგებლობისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის 2025 წლის 17 მარტის №4072 ბრძანება;
- შპს ,,კაპიტალ გრუპს“ და შპს ქართულ - ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება (ცვლილებით) მიღება - ჩაბარების აქტი;
- ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ სკოლის გენერალური დირექტორის 2025 წლის 17 მარტის № 3796 ბრძანება.
- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული)
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- შპს „ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის“ დირექტორის 2025 წლის 02 აპრილის №4631 ბრძანებით დამტკიცებული შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების/თანამდებობების ძირითადი ფუნქცია და თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა და საშტატო განრიგი;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
- სკოლის გენერალური დირექტორის 2024 წლის 21 დეკემბრის №02/194 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება;
- ელექტრონული ბიბლიოთეკის დათვალიერების შედეგი;
- ,,შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების თაობაზე“ სკოლის გენერალური დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის №21906 ბრძანება;
- პროგრამის საპროგნონოზო ბიუჯეტი (ინტეგრირებული და არაინტერირებული მიდგომებისთვის)

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

სკოლის სტრუქტურით გათვალისწინებულია ხარისხის მართვის სამსახური. რომელსაც ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი და ასევე გათვალისწინებულია ორი საშტატო ერთეული: ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტები ზოგადი და პროფესიული განათლების მიმართულებებით. სპეციალისტთა პოზიცია მოცემულ ეტაპზე ვაკანტურია. სამსახურის უფროსთან გაფორმებულია ხელშეკრულება.

სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (ბრძ №02/12; 06.09.2023) ეფუძნება ხარისხის განვითარების ციკლი ეფუძნება დემინგის "PDCA" სქემას.

პოლიტიკის დოკუმენტით გაანალიზებულია სკოლის ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები". და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დანერგვა, შეფასება, განვითარება გაანალიზებულია, როგორც ძირითადი პროცესი. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად, გათვალისწინებულია პროგრამის შეფასება, მათ შორის, სკოლის მიერ შემუშავებული პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პროცედურების ფარგლებში.

სკოლის გენერალური დირექტორის 2025 წლის 18 თებერვლის №2466 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესი და პროცედურის IV თავი განსაზღვრავს პროგრამის შეფასების საკითხებს, მათ შორის, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა. წესი განსაზღვრავს პროგრამის შეფასების/ანალიზის დროს რომელ კრიტერიუმებთან მიმართებით ფასდება პროგრამა, რომელი შეფასების ინსტრუმენტები გამოიყენება შეფასებისას და სხვ.

ხარისხის სამსახურის უფროსის მიერ შემუშავებულია 2024-2025 სასწავლო წლის ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით გარკვეული აქტივობების განხორციელება, რაც საგანმანათლებლო პროგრამების დამატებას უკავშირდება.

<u>შესაბამისად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.</u>

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შედგება შემდეგი ქვეპროცესებისაგან: სკოლის პროცესებთან დაკავშირებული რისკების შეფასება; პროცესების შეფასების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა; შეფასების განხორციელება; დასკვნის შედგენა და უკუკავშირი; რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი.

სკოლის გენერალური დირექტორის 2025 წლის 18 თებერვლის №2466 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესის მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი აანალიზებს შეგროვებულ მონაცემებს. ანალიზის შედეგად იძლევა პროგრამის განვითარების რეკომენდაციებს. წესის მეხუთე თავი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და პროგრამაში ცვლილების შეტანის წესსა და პროცედურას. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის, პროგრამის ადამიანური, მატერიალური რესურსის ცვლილების (რომელიც არ არღვევს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს), საგანმანათლებლო რესურსის ცვლილების ან სხვა გარემოებების საფუძველზე. შესაბამისად, სკოლა თავის საქმიანობას წარმართავს მის მიერვე შემუშავებული მექანიზმების მიხედვით

<u>შესაბამისად, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,შპს ქართულ- ამერიკული სკოლა პროგრესის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2023 წლის 06 სექტემბრის №02/112 ბრძანება;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესი და პროცედურა“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- დამტკიცების თაობაზე“ სკოლის გენერალური დირექტორის დირექტორის 2025 წლის 18 თებერვლის №2466 ბრძანება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა;
- პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის კითხვარები და მეთოდოლოგია;

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმაში დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის.

<u>შესაბამისად, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.</u>

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია სხვადასხვა ცვლებში სწავლების, შეჭრილი გრაფიკით სწავლების შესაძლებლობა, მათ შორის, სასწავლო პროცესის დაგეგმვა პროფესიულ სტუდენტთა საერთო ინტერესების გათვალისწინებით (მუხლი 15), ხოლო ფორს-მაჟორული გარემოებების, სასწავლებლისგან დამოუკიდებელი გარემოებების ან სხვა წინასწარ უცნობი გარემოებების/საჭიროებების შემთხვევაში, როდესაც ვერ ხერხდება/შეუძლებელია დადგენილი სასწავლო პროცესის განხორციელება/სასწავლო გეგმის დაცვა, სკოლა მოქნილად რეაგირებს აღნიშნულ გარემოებებზე და პროფესიულ სტუდენტებს უქმნის მათ ინტერესებზე მორგებული პირობებით ადეკვატური განათლების მიღების შესაძლებლობას - მაგ. დასწრებითი ფორმატის სასწავლო პროცესის ჩანაცვლებას ჰიბრიდული ან დისტანციური სწავლების ფორმატით, რაც სავალდებულოდ უნდა დარეგულირდეს შესაბამისი ბრძანებით.

<u>შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე</u>

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროგრამა აღჭურვილია ყველა იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროგრამით განსაზღვრულია სწავლების თანამედროვე მეთოდების და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება. პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ისინი იცნობენ ამ მეთოდებს და აპირებენ გამოიყენონ სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

<u>შესაბამისად, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.</u>

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განიხილავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესაძლებლობას შემდეგი შემთხვევებისთვის:

ა) ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან თანამშრომლობით, იკვეთება სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება;

ბ) ისგ-ს შემუშავებასთან დაკავშირებით სკოლას მიმართავს სსსმ პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი;

გ) მობილობის საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის მიერ უკვე მიღწეული/დადასტურებული სწავლის შედეგები განსხვავებულია სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისგან შესაბამისი პერიოდისთვის; დ) სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის, პროგრამის ცვლილებიდან გამომდინარე, იკვეთება გამოწვევა ცალკეული მოდულების კრედიტების ათვისებასთან დაკავშირებით;

ასევე დაშვებულია, რომ ისგ-ს საჭიროება შესაძლებელია გამოიკვეთოს სხვა მიზეზით, რომელიც არ არის გათვალისწინებული წესით და სპეციალურად შექმნილი კომისია შეისწავლის საკითხს. შესაძლებელია ისგ-ს შემუშავება ჯგუფისთვისაც.

გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევებისა, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობის მიხედვით, მასწავლებლის მოვალეობაა პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინება სწავლების პროცესში და საჭიროების შემთხვევაში წინადადებების წარდგენა პროფესიული სტუდენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მისთვის დამატებითი მხარდაჭერის გაწევის აუცილებლობის თაობაზე.

ასევე, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში, სკოლას ეყოლება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სასწავლო პროცესის ასისტენტი. შემუშავებულია მათი სამუშაო აღწერილობები.

<u>შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროგრამის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული პარტნიორი საწარმო.

<u>შესაბამისად, პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით</u>

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებას გაწერილი აქვს შრომის უსაფრთხოების წესები. კოლეჯის სასწავლო/სამუშაო გარემოში სათანადოდ არის უზრუნველყოფილი უსაფრთხოების ნორმების დაცვა. საგანმანათლებლო პროგრამა არ მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს, თუმცა პროგრამის ფარგლებში შეძენილია ანტისტატიკური ხალიჩა, სამაჯურები და დამცავი სათვალეები.

<u>შესაბამისად, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების თაობაზე“ შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის № 00021906 ბრძანება;
- შპს „ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის“ დირექტორის 2025 წლის 02 აპრილის №00004631 ბრძანებით დამტკიცებული შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების/თანამდებობების ძირითადი ფუნქცია და თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა და საშტატო განრიგი;
- შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2023 წლის 25 ოქტომბრის № 02/160 ბრძანებით დამტკიცებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით სარგებლობის წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- ,,შპს ქართულ - ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესში პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის წესის დამტკიცების შესახებ“ სკოლის გენერალური დირექტორის 2025 წლის 17 მარტის № 3765 ბრძანება.

შეფასება

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; სკოლის შეფასების სისტემა დარეგულირებულია რამდენიმე ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით და ყველა მათგანში გათვალისწინებულია შეფასების სისტემის მახასიათებლები: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა/ობიექტურობა. შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებულია პროგრამების განხორციელების მიდგომები. დამოუკიდებელი ბრძანებების სახითაა დამტკიცებული: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი; შუალედური შეფასების წესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ყველა ბრძანება შემუშავებულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით და მათში ასახულია სკოლის ხედვა დაწესებულების პრეროგატივას დაქვემდებარებულ საკითხებთან მიმართებაში.
ყველა ზემოაღნიშნული რეგულაცია ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების აპელაციის წესს.
<u>შესაბამისად, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური</u>

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

სკოლის გენერალური დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის № 00021905 ბრძანებით დამტკიცებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ბრძანებით განსაზღვრულია: ვერიფიკაციის მიზანი, ვერიფიკაციის პროცესის მონაწილეები, ვერიფიკაციის მიმართულებები და მექანიზმები, ვერიფიკაციის პროცესი, რომელიც ასევე მოიცავს დასკვნის შედგენას და რეკომენდაციების გაცემას.
დოკუმენტი იმგვარადაა შემუშავებული, რომ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს პროცესში ჩართულ პირებთან მიმართებით.
<u>შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს</u>

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

სკოლის გენერალური დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის № 00021905 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, სხვა არაერთ საკითხთან ერთად არეგულირებს შეფასების მტკიცებულებების მოპოვების, გადაბარების, შენახვის წესსა და პროცედურებს (მუხლი 6). აღნიშნული რეგულაციის მიხედვით, პროგრამის დასრულების შემდეგ შეფასების მტკიცებულებები გადაეცემა არქივს, სადაც ინახება უწყისის გაფორმებიდან არანაკლებ 3 წელი.
<u>შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით</u>

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებით არსებული ყველა რეგულაციით გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტისთვის უკუკავშირის მიცემა და საჭიროების შემთხვევაში მხარდაჭერა.
განმავითარებელი ფუნქცია აქვს შუალედურ შეფასება.
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის აკადემიური უნარების გაუმჯობესების მიზნით, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები უზრუნველყოფენ მის ინდივიდუალურ კონსულტირებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

(კონფიდენციალურობის დაცვით). ჯგუფური კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციის გრაფიკს ადგენს მხარდაჭერის სპეციალისტი.

<u>შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების თაობაზე“ შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის № 00021906 ბრძანება;
- ,,შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“ დამტკიცების თაობაზე“ შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის № 00021905 ბრძანება;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების თაობაზე“ თაობაზე“ შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის № 00021868 ბრძანება;
- შპს ქარ,,თულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის № 00021902 ბრძანება.

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

III. ზოგადი ინფორმაცია

ცხრილი ივსება ცალ-ცალკე თითოეული პროგრამისა და ასევე, პროგრამის განხორციელების ადგილის და ენის მიხედვით. (ინდივიდუალურ პროგრამებად განიხილება განხორციელების ადგილისა და სწავლების ენის მიხედვით განსხვავებული პროგრამები. მაქსიმუმ 15 პროგრამა)

პროგრამის სახელწოდება	გრაფიკული დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გრაფიკულ დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცება №4010 ბრძანება, 2025 წლის 17 მარტი; ცვლილება №7705 ბრძანება, 2025 წლის 22 მაისი.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, დავით აღმაშენებლის გამზირი ქ. №20
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც	60

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118

IV. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის მისიით, ხედვითა და სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებულია საქმიანობა პროფესიული განათლების მიმართულებით და ეს ჩანს მისიაში, ხედვაშიც და სტრატეგიაშიც. მათ შორის, სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით №6 სტრატეგიული მიზანია - პროფესიული და უწყვეტი განათლების მიწოდება. უფრო კონკრეტულად კი, სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, სკოლა 2025 წელს გეგმავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვებას. სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმით კი დაკონკრეტებულია, რომ სკოლა გეგმავს IT მიმართულების (მათ შორის, ინტეგრირებული მიდგომით) პროგრამების შემუშავებას და განხორციელების უფლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მოპოვებას. თვითშეფასების №7 დანართის სახით წარმოდგენილია ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - ,,გრაფიკული დიზაინი“ მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირება“ და დასაბუთებულია რომ ,,გრაფიკული დიზაინის“ პროგრამა მოთხოვნადია როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზარზე. ციფრული მარკეტინგის სფეროში გრაფიკული დიზაინერები ერთ-ერთ მაღალანაზღაურებად კადრებად ითვლებიან. მათი ანაზღაურება იწყება 2,500 ლარიდან და იზრდება გამოცდილების შესაბამისად. ეს მიუთითებს გრაფიკული დიზაინის პროფესიის მნიშვნელობაზე ბიზნესის წარმატებისთვის, რაც ზრდის მოთხოვნას კვალიფიციურ კადრებზე. პანდემიის პერიოდში საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ (GITA) და ჯეოლაბმა ერთობლივად ჩაატარეს გრაფიკული დიზაინის კურსები საქართველოს 10 რეგიონში, მათ შორის იმერეთში. მიუხედავად პანდემიური მდგომარეობისა, კურსები დისტანციურად ჩატარდა და გამოიკვეთა დიდი ინტერესი აღნიშნული მიმართულებით, რაც მიუთითებს რეგიონის მოსახლეობის მზარდ ინტერესზე გრაფიკული დიზაინის მიმართ. დაწესებულების სამოქმედო არეალშიც არსებობს და პროგნოზირებადია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. დაწესებულების მიერ ჩატარებული დასაქმების პლატფორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სფეროში, მათ შორის გრაფიკული დიზაინის მიმართულებით კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნა მუდმივად იზრდება. რამდენიმე ძირითადი დასაქმების პლატფორმა, როგორიცაა Jobs.ge, SS.ge, Awork.ge, Openjobs.ge, Jober.ge, Rework.ge, OL Genz და dev.ge, რეგულარულად აქვეყნებს IT ვაკანსიებს, რაც მიუთითებს ამ სფეროში არსებული აქტიური მოთხოვნის შესახებ. მაგალითად, SS.ge-ზე IT კატეგორიაში განთავსებულია ვაკანსიები, რომლებიც ყოველდღიურად განახლდება, რაც მიუთითებს დამსაქმებლების მუდმივ მოთხოვნაზე კვალიფიციურ IT სპეციალისტებზე. ასევე, Awork.ge არის ქართული დასაქმების პლატფორმა, რომელიც სამუშაოს მაძიებლებსა და დამსაქმებლებს ერთმანეთთან აკავშირებს, მათ შორის IT სფეროშიც. გარდა ამისა, dev.ge-მ 2023 წელს დაიწყო IT ვაკანსიების სერვისი, რაც ასევე მიუთითებს ამ სფეროში მზარდ მოთხოვნაზე. დამსაქმებლები ხშირად ითხოვენ შემდეგი პროგრამების ცოდნას: Adobe Illustrator, Adobe Photoshop, Corel Draw, Adobe InDesign, Adobe After Effects, AutoCAD, 3D MAX და SketchUp. UI/UX დიზაინერების შემთხვევაში, დამატებით საჭიროა Front-End პროგრამირების ენების ცოდნა (HTML5, CSS3) და დიზაინ პროგრამებთან მუშაობის უნარი. დამსაქმებლებისგან/პოტენციური დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე იკვეთება კონკრეტული კვალიფიკაციის საჭიროება; სკოლის პროფესიული და უწყვეტი განათლების მიერ ჩატარებული ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებით გამოიკვეთა კონკრეტული სპეციალობის მქონე კვალიფიციური კადრების საჭიროება; დაწესებულებას ჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი (პროგრამის განმახორციელებლები) საგანმანათლებლო პროგრამის - ,,გრაფიკული დიზაინი“ განსახორციელებლად. ასევე, მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტში მოყვანილია სხვა არგუმენტებიც, მათ შორის, ხაზგასმულია სახელმწიფოს პოლიტიკა ინტეგრირებული პროგრამების სკოლებში დანერგვასთან დაკავშირებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

<u>შესაბამისად, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას</u>

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

პროგრამა ხორციელდება ორგვარი მიდგომით და კანონმდებლობის გათვალისწინებით, განსხვავებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლება. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც არ არის ინტეგრირებული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პროცედურა განსაზღვრულია ,,შპს ქართულ - ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესისა და პროცედურის დამტკიცების შესახებ" სკოლის გენერალური დირექტორის 2025 წლის 17 მარტის №.00003764 ბრძანებით. აღნიშნული წესის მე-6 მუხლის მიხედვით, სკოლის გენერალური დირექტორი, ყოველწლიურად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, განსაზღვრავს აპლიკანტთა შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს (ეტაპების არსებობის შემთხვევაში), თითოეულ იმ საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რომელზეც შესაბამის წელს ცხადდება მიღება. სკოლა ისარგებლებს ა(აა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ რეკომენდებული შეფასების მეთოდით - მოტივაციური გასაუბრება და პროგრამის ორთავე მიდგომისთვის (პოზიციონირების პირველ წელს) იქნება შერჩევის მხოლოდ ერთი ეტაპი.

<u>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას</u>

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესი საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. კერძოდ, ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" სკოლის გენერალური დირექტორის 2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

წლის 17 მარტის №00003796 ბრძანების თანახმად, სკოლას განსაზღვრული აქვს პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრულ ოდენობა. მეთოდოლოგიის მიხედვით, პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის გაანგარიშებისთვის გათვალისწინებულია:

- სასწავლო გარემო - პროგრამისთვის განსაზღვრულია ერთი A/C, ერთი A გარემო და ერთი B გარემო, სადაც მატერიალური გარემო გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე;
- მატერიალური რესურსი;
- ადამიანური რესურსი - პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია - 28 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის, 6 განმახორციელებელი გათვალისწინებულია პროფესიული მოდულების სწავლებისთვის, 7 განმახორციელებელი - ზოგადი მოდულების სწავლებისთვის.
- პროგრამის განხორციელების მიდგომა - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ,,გრაფიკული დიზაინი" განხორციელდება ორგვარი მიდგომით: ინტეგრირებული და არაინტეგრირებული;
- პროგრამის ხანგრძლივობა - პროგრამაზე არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით - სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 71 სასწავლო კვირას. პროგრამაზე, ინტეგრირებული სასწავლო გეგმით - სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს 84 სასწავლო კვირას. თუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის გზით ჩაირიცხა პირი, მან სავალდებულოდ უნდა დაიწყოს სწავლა ,,ქართული ენა A2" და ,,ქართული ენა B1" მოდულებით (15 - 15 კრედიტის მოცულობით) რომელთა სწავლებაც ხორციელდება 40 სასწავლო კვირის (10 სასწავლო თვე) მანძილზე. შესაბამისად, ასეთი პირებისათვის სწავლების ხანგრძლივობა იზრდება 10 სასწავლო თვით;
- საპროგნოზო ბიუჯეტის მიხედვით დადგენილი რენტაბელობის ზღვარი - პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი და რენტაბელობის ზღვარი სწავლების ორივე მიდგომის შემთხვევაში შეადგენს 12-12 პროფესიულ სტუდენტს;
- გათვალისწინებულია სხვადასხვა ცვლებში მუშაობის შესაძლებლობა და სასწავლო გეგმის სპეციფიკა;
- პროგრამაზე დისტანციური სწავლების შესაძლებლობა - პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დისტანციური სწავლების შესაძლებლობა. დაწესებულება გეგმავს დისტანციური სწავლების შესაძლებლობის გამოყენებას. შემუშავებულია დისტანციური სწავლების წესიც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დამტკიცებული მეთოდოლოგიით შესაბამისად, დაწესებულებამ განსაზღვრა პროფესიულ სტუდენტთა მისაღები ოდენობა - 60 პროფესიული სტუდენტი (ჯგუფში მაქსიმუმ 20 სტუდენტი; სულ 3 ჯგუფი). მათ შორის, ინტეგრირებული მიდგომისთვისაც - 60 პროფესიული სტუდენტი.

<u>შესაბამისად, პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული რესურსი. ასევე, რესურსი შერჩეულ იქნა განმახორციელებელთა რეკომენდაციით, მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, რამოდენიმე პროფესიულ მოდულში მითითებული სასწავლო რესურსი რიგ შემთხვევაში არ შეესაბამებოდა მოდულით განსაზღვრულ სწავლის შედეგების თემატიკას, მითითებული იყო ასევე ინგლისურენოვანი ლინკები და სახელმძღვანელოები. ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა სრულყოფილი სასწავლო რესურსი, რომელთა შინაარსიც სრულად შესაბამისობაშია შემდეგი მოდულების სწავლის შედეგების თემატიკასთან: ,,დიზაინის პრინციპების გამოყენება“, ,,გრაფიკული დიზაინის გამოყენება თამაშების შექმნასა და სამგანზომილებიან გრაფიკაში“, ,,თანამედროვე (AI, AR, VR) ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება გრაფიკულ დიზაინში“, ,,2D ანიმაციის პრინციპები“, ,,ვიზუალური ბრენდინგისა და იდენტობის შექმნა“, ,,ვექტორული გრაფიკა CorelDRAW”.
ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისთვის ძირითად რესურსად განსაზღვრულია ა(ა)იპ უნარების სააგენტოს მიერ შემუშავებული რესურსი და ასევე მითითებულია დამატებითი სასწავლო რესურსი.

<u>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას</u>

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
არ არის გათვალისწინებული
<u>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან</u>

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
,,პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესის და პროცედურის დამტკიცების შესახებ“ შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2025 წლის 18 თებერვლის №00002466 ბრძანებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დამტკიცებული წესისა და პროცედურის პირველი თავის მე-16 მუხლის მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.
შესაბამისად, სკოლის გენერალური დირექტორის 2025 წლის 17 მარტის №00004010 ბრძანებით დამტკიცდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,გრაფიკული დიზაინი".
<u>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ</u>

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ,,გრაფიკული დიზაინი" ფარგლებში და პროგრამის სახელწოდება სრულად შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას.
<u>შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი</u>

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
სკოლაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია ეფუძნება დემინგის ციკლს. სკოლის გენერალური დირექტორის 2024 წლის 18 თებერვლის №00002466 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესი და პროცედურა. აღნიშნული წესის მიხედვით, გენერალური დირექტორის 2025 წლის 18 თებერვლის №00002488 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ,,გრაფიკული დიზაინი" საფუძველზე. პროგრამა შემუშავებულია ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მიდგომებით და გათვალისწინებულია „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს №170/ნ ბრძანების მოთხოვნები. ასევე, ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს №416 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, გათვალისწინებულია შუალედური შეფასებისა და და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება. შუალედური შეფასების პერიოდი განსაზღვრულია სასწავლო გეგმით. არაქართულ ენაზე შერჩევის გზით ჩარიცხულ პირთათვის გათვალისწინებულია ,,ქართული ენა A2“ და ,,ქართული ენა B1“ მოდულების სწავლება და სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, მათთვის სწავლება გახანგრძლივდება 10 სასწავლო თვით.

<u>შესაბამისად, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030);
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2024-2025 სასწავლო წელი);
- პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- ,,შპს ქართულ - ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის წესისა და პროცედურის დამტკიცების შესახებ“ სკოლის გენერალური დირექტორის 2025 წლის 17 მარტის №.3764 ბრძანება;
- ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ სკოლის გენერალური დირექტორის 2025 წლის 17 მარტის № 3796 ბრძანება.
- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული)
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესის და პროცედურის დამტკიცების შესახებ“ შპს ქართულ- ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2025 წლის 18 თებერვლის №2466 ბრძანება;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ,,გრაფიკული დიზაინი“ საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინი“ დამტკიცების შესახებ“ 2025 წლის 17 მარტის №4010 ბრძანება;
- პროგრამის სრული პაკეტი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,გრაფიკული დიზაინი“;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინი“ შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“ სკოლის გენერალური დირექტორის 2025 წლის 18 თებერვლის №2488 ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების მტკიცებულებები და ჯგუფის წევრებთან ინტერვიუ;
- სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათი.

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შპს ქართულ-ამერიკულ სკოლა ,,პროგრესს“ შემუშავებული აქვს და გენერალური დირექტორის 2025 წლის 17 მარტის №00004072 ბრძანებით დამტკიცებულია ,,პროფესიული განათლების მიმართულებით მატერიალური რესურსითა და მასალა - ნედლეულით უზრუნველყოფის, მათი სარგებლობისა და განვითარების მარეგულირებელი წესი. წესი განსაზღვრავს, რომ სკოლა უფლებამოსილია პროფესიული განათლების მიმართულებით მიზნებისთვის წარმართოს სკოლის მატერიალური რესურსი, იმ პირობით, რომ აღნიშნულმა ხელი არ უნდა შეუშალოს სკოლას ზოგადი განათლების მიმართულებით საქმიანობაში. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები პროფესიული სტუდენტების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში სკოლა ითვალისწინებს სკოლის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის სარგებლობის შესაძლებლობას და იღებს გონივრულ გადაწყვეტილებას, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილი იქნება მაღალხარისხიანი სწავლება, როგორც ზოგადი, ასევე, პროფესიული განათლების საფეხურებზე. სწორედ ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, სკოლაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად გამოყოფილია სასწავლო გარემოები, რომლებიც მხოლოდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარსამართავად გამოიყენება, ასევე, პროგრამებისთვის განკუთვნილია ის ფართებიც, რაც ასევე ზოგადი განათლების მიზნებისთვის არის გამოყენებული. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,გრაფიკული დიზაინი“ განსაზღვრულია: ერთი A გარემო, ერთი A /C გარემო, ერთი კომპიუტერული კლასი, 2 საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და სპორტული დარბაზი. ყველა გარემოში მატერიალური რესურსი გათვლილია ჯგუფში 20 პროფესიულ სტუდენტზე. ამასთან, მატერიალური რესურსი შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით ,,გრაფიკული დიზაინი“ რეკომენდებულ რესურსის ჩამონათვალთან. სკოლას იჯარით შენობა აღებული აქვს შპს ,,კაპიტალ გრუპს“-გან და პროგრამისთვის მატერიალური რესურსიც სწორედ აღნიშნული საზოგადოების რესურსით იქნა შეძენილი და გადმოცემული სკოლისთვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის - ,,გრაფიკული დიზაინი“ განსაზღვრული სასწავლო გარემოთა რაოდენობა, მათი გამტარიანობა და თითოეულ გარემოში 20 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი რესურსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

<u>შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით</u>

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,გრაფიკული დიზაინის“ ფარგლებში გათვალისწინებულია - 28 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ შორის, 6 განმახორციელებელი გათვალისწინებულია პროფესიული მოდულების სწავლებისთვის, 7 განმახორციელებელი - ზოგადი მოდულების სწავლებისთვის. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლებისთვის სკოლას ჰყავს 15 განმახორციელებელი. მასწავლებელთა აღნიშნული ოდენობა გათვალისწინებულია სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ გააზრებულია მათი დატვირთვა ზოგადი განათლების მიმართულებითაც. ყველა პირთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში თანამშრომლობის თაობაზე.
მასწავლებელთა კომპეტენციები არის გააზრებული და თითოეული მოდულისთვის უმეტეს შემთხვევაში გათვალისწინებულია მინიმუმ ორი განმახორციელებელი. მასწავლებელთა კონკრეტული საათობრივი დატვირთვა თითოეული ჯგუფის ფარგლებში დამტკიცდება სწავლის დაწყების წინ.

<u>შესაბამისად, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას</u>

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დაწესებულებას შერჩეული ჰყავს ზოგადი და პროფესიული მოდულების განმახორციელებელად პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება მათი კომპეტენცია. პროფესიული მოდულების 2 განმახორციელებელს გააჩნია პროფესიული განათლების სისტემაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, რაც მათთან ინტერვიურების შემდეგ დადასტურდა. ზოგადი და ინტეგრირებული ზოგადი მოდულების ყველა განმახორციელებელს აქვს აქვს სწავლებისა და შეფასების სკოლაში მასწავლებლად მუშაობის გამოცდილება. ამასთან, პროგრამის ყველა იმ პირს ვისთვისაც სიახლე არის პროფესიული განათლება ჩატარებული აქვთ ტრენინგი თემაზე - ,,სწავლა - სწავლების თანამედროვე მიდგომები პროფესიულ განათლებაში და პროფესიული სტუდენტის შეფასება“. სისტემაში არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განმახორციელებლები სკოლის მიერ უფლების მოპოვებისთანავე ჩაერთვებიან ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს დარგობრივ ქსელებში და უზრუნველყოფილი იქნებიან მენტორთა მხარდაჭერით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

<u>შესაბამისად, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია</u>

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ექსპერტთა შეფასებით პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც არის მაღალკვალიფიციური დარგობრივი კომპეტენციის მქონე კადრი, პროფესიული განათლების სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით, რომელიც დაინტერესებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული განათლების დანერგვით. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გასაუბრება.

<u>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი</u>

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

სკოლის გენერალური დირექტორის 2024 წლის 21 დეკემბრის №02/194 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება. სკოლაში ბიბლიოთეკის რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული განათლების მიმართულებით რესურსის 100 % გაციფრულებულია და აღრიცხულია ელექტრონული რესურსის ჟურნალში.

პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობის მიხედვით ის ვალდებულია ჩაატაროს მეცადინეობები მაღალ პროფესიულ დონეზე. მოდულებით გათვალისწინებული შესაბამისი სასწავლო რესურსების გამოყენებით. ახალი საგანმანათლებლო რესურსის საჭიროების შემთხვევაში კი მასწავლებელი ვალდებულია მოახდინოს წერილობითი ინიცირება, პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით. თავის მხრივ, პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობაა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო რესურსის განსაზღვრა, პროგრამის განმახორციელებლებთან თანამშრომლობით და სასწავლო რესურსების განახლებაზე ზრუნვა.

შესაბამისად, სკოლა პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში საქმიანობას წარმართავს მის მიერვე შემუშავებული რეგულაციების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ექსპერტების მიერ განხორციელდა დაწესებულების ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით, აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია, ელექტრონული სახით. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ყველა მათგანი და დადასტურდა მათი ფონდში არსებობა. ბიბლიოთეკის მომსახურების ფარგლებში შესაძლებელია ამობეჭდვაც, კოლეჯის ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერი, სადაც ჩატვირთულია ელექტრონული წიგნები, იქვეა განთავსებული პრინტერი სკანერით, რომლის გამოყენებაც შეუზღუდავად შეუძლიათ პროფესიული განათლების მასწავლებლებს და პროფესიულ სტუდენტებს.

<u>შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში</u>

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
გენერალური დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის №21906 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-18 მუხლი განსაზღვრავს სკოლის პოლიტიკას სკოლაში სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნასთან დაკავშირებით.
სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია პირველ სართულზე და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილია ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირთა თავისუფალი გადაადგილება. ამასთან, პროფესიული განათლების მიმართულებით საგანმანათლებლო რესურსის 100% გაციფრულებულია და შესაძლებელია მათი მიწოდება ყველა სტუდენტისთვის.
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი არეგულირებს ისგ-ს შემუშავების წესსა და პროცედურას, მათ შორის სსსმ პირთათვის.
სკოლის საშტატო განრიგის მიხედვით, პროფესიული და უწყვეტი განათლების სამსახურში გათვალისწინებულია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისა და სასწავლო პროცესის ასისტენტის საშტატო ერთეულები, რომლებიც ამ ეტაპზე ვაკანტურია. საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება მათი აყვანა.
თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობების შემუშავებისას სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინა სსსმ პირთა საგანმანათლებლო რესურსთ უზრუნველყოფის საკითხი.
სამუშაო აღწერილობების მიხედვით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ა) ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი მონაწილეობს სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებებით განპირობებული საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის პროცესში და სკოლის მენეჯმენტს აწვდის ინფორმაციას საჭირო მხარდაჭერის თაობაზე;

ბ) სასწავლო პროცესის ასისტენტი - საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო რესურსისა და სამუშაო მასალის ადაპტირებას.

გ) პროფესიული განათლების მასწავლებელი - სსსმ პროფესიული სტუდენტების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, ჩართულია პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსის მომზადების /ადაპტირების პროცესში.

<u>შესაბამისად, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად</u>

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
წარმოდგენილია ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მიდგომებისთვის საპროგნოზო ბიუჯეტები.
ამ ეტაპზე ბიუჯეტი იმგვარად არის შემუშავებული რომ გათვალისწინებულია მისი ვაუჩერული დაფინანსების შესაძლებლობა, რადგან აღნიშნული პროგრამა უკვე ყველა წელია არის სახელმწიფოს მიერ დასაფინანსებელი პროგრამების ნუსხაში. ასევე, დამატებითი დაფინანსების წყაროა თანადაფინანსება. ბიუჯეტი დაანგარიშებული ერთი ჯგუფისთვის.
როგორც არაინტეგრირებული, ასევე ინტეგრირებული პროგრამის შემთხვევაში რენტაბელობის ზღვარია - 12-12 პროფესიული სტუდენტი.
<u>შესაბამისად, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,პროფესიული განათლების მიმართულებით მატერიალური რესურსითა და მასალა - ნედლეულით უზრუნველყოფის, მათი სარგებლობისა და განვითარების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის 2025 წლის 17 მარტის №4072 ბრძანება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

- შპს ,,კაპიტალ გრუპს“ და შპს ქართულ - ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება (ცვლილებით) მიღება - ჩაბარების აქტი;
- ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ სკოლის გენერალური დირექტორის 2025 წლის 17 მარტის № 3796 ბრძანება.
- პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული)
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ,,გრაფიკული დიზაინი“;
- შპს „ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის“ დირექტორის 2025 წლის 02 აპრილის №4631 ბრძანებით დამტკიცებული შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების/თანამდებობების ძირითადი ფუნქცია და თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა და საშტატო განრიგი;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
- სკოლის გენერალური დირექტორის 2024 წლის 21 დეკემბრის №02/194 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება;
- ელექტრონული ბიბლიოთეკის დათვალიერების შედეგი;
- ,,შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების თაობაზე“ სკოლის გენერალური დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის №21906 ბრძანება;
- პროგრამის საპროგნონოზო ბიუჯეტი (ინტეგრირებული და არაინტერირებული მიდგომებისთვის)

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

სკოლის სტრუქტურით გათვალისწინებულია ხარისხის მართვის სამსახური. რომელსაც ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი და ასევე გათვალისწინებულია ორი საშტატო ერთეული: ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტები ზოგადი და პროფესიული განათლების მიმართულებებით. სპეციალისტთა პოზიცია მოცემულ ეტაპზე ვაკანტურია. სამსახურის უფროსთან გაფორმებულია ხელშეკრულება.

სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (ბრძ №02/12; 06.09.2023) ეფუძნება ხარისხის განვითარების ციკლი ეფუძნება დემინგის “PDCA” სქემას.

პოლიტიკის დოკუმენტით გაანალიზებულია სკოლის ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები“. და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დანერგვა, შეფასება, განვითარება გაანალიზებულია, როგორც ძირითადი პროცესი. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად, გათვალისწინებულია პროგრამის შეფასება, მათ შორის, სკოლის მიერ შემუშავებული პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პროცედურების ფარგლებში.

სკოლის გენერალური დირექტორის 2025 წლის 18 თებერვლის №2466 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესი და პროცედურის IV თავი განსაზღვრავს პროგრამის შეფასების საკითხებს, მათ შორის, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვა. წესი განსაზღვრავს პროგრამის შეფასების/ანალიზის დროს რომელ კრიტერიუმებთან მიმართებით ფასდება პროგრამა, რომელი შეფასების ინსტრუმენტები გამოიყენება შეფასებისას და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ხარისხის სამსახურის უფროსის მიერ შემუშავებულია 2024-2025 სასწავლო წლის ხარისხის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით გარკვეული აქტივობების განხორციელება, რაც საგანმანათლებლო პროგრამების დამატებას უკავშირდება.

<u>შესაბამისად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.</u>

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი შედგება შემდეგი ქვეპროცესებისაგან: სკოლის პროცესებთან დაკავშირებული რისკების შეფასება; პროცესების შეფასების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა; შეფასების განხორციელება; დასკვნის შედგენა და უკუკავშირი; რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი.

სკოლის გენერალური დირექტორის 2025 წლის 18 თებერვლის №2466 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესის მიხედვით ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი აანალიზებს შეგროვებულ მონაცემებს. ანალიზის შედეგად იძლევა პროგრამის განვითარების რეკომენდაციებს. წესის მეხუთე თავი არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და პროგრამაში ცვლილების შეტანის წესსა და პროცედურას. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის, პროგრამის ადამიანური, მატერიალური რესურსის ცვლილების (რომელიც არ არღვევს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს), საგანმანათლებლო რესურსის ცვლილების ან სხვა გარემოებების საფუძველზე. შესაბამისად, სკოლა თავის საქმიანობას წარმართავს მის მიერვე შემუშავებული მექანიზმების მიხედვით

<u>შესაბამისად, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,შპს ქართულ- ამერიკული სკოლა პროგრესის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2023 წლის 06 სექტემბრის №02/112 ბრძანება;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანისა და პროგრამის განვითარების წესი და პროცედურა“
- დამტკიცების თაობაზე“ სკოლის გენერალური დირექტორის დირექტორის 2025 წლის 18 თებერვლის №2466 ბრძანება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა;
- პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის კითხვარები და მეთოდოლოგია;

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
   პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის სავარაუდო კვირეული დატვირთვა. სასწავლო გეგმაში დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის.
   <u>შესაბამისად, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.</u>
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
   სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია სხვადასხვა ცვლებში სწავლების, შეჭრილი გრაფიკით სწავლების შესაძლებლობა, მათ შორის, სასწავლო პროცესის დაგეგმვა პროფესიულ სტუდენტთა საერთო ინტერესების გათვალისწინებით (მუხლი 15), ხოლო ფორს-მაჟორული გარემოებების, სასწავლებლისგან დამოუკიდებელი გარემოებების ან სხვა წინასწარ უცნობი გარემოებების/საჭიროებების შემთხვევაში, როდესაც ვერ ხერხდება/შეუძლებელია დადგენილი სასწავლო პროცესის განხორციელება/სასწავლო გეგმის დაცვა, სკოლა მოქნილად რეაგირებს აღნიშნულ გარემოებებზე და პროფესიულ სტუდენტებს უქმნის მათ ინტერესებზე მორგებული პირობებით ადეკვატური განათლების მიღების შესაძლებლობას - მაგ. დასწრებითი ფორმატის სასწავლო პროცესის ჩანაცვლებას ჰიბრიდული ან დისტანციური სწავლების ფორმატით, რაც სავალდებულოდ უნდა დარეგულირდეს შესაბამისი ბრძანებით.
   <u>შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე</u>

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
   პროგრამა აღჭურვილია ყველა იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. „გრაფიკული დიზაინი“ პროგრამით განსაზღვრულია სწავლების თანამედროვე მეთოდების და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება. პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ისინი იცნობენ ამ მეთოდებს და აპირებენ გამოიყენონ სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

<u>შესაბამისად, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.</u>

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი განიხილავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების შესაძლებლობას შემდეგი შემთხვევებისთვის:

ა) ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან თანამშრომლობით, იკვეთება სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება;

ბ) ისგ-ს შემუშავებასთან დაკავშირებით სკოლას მიმართავს სსსმ პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი;

გ) მობილობის საფუძველზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის მიერ უკვე მიღწეული/დადასტურებული სწავლის შედეგები განსხვავებულია სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისგან შესაბამისი პერიოდისთვის; დ) სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის, პროგრამის ცვლილებიდან გამომდინარე, იკვეთება გამოწვევა ცალკეული მოდულების კრედიტების ათვისებასთან დაკავშირებით;

ასევე დაშვებულია, რომ ისგ-ს საჭიროება შესაძლებელია გამოიკვეთოს სხვა მიზეზით, რომელიც არ არის გათვალისწინებული წესით და სპეციალურად შექმნილი კომისია შეისწავლის საკითხს. შესაძლებელია ისგ-ს შემუშავება ჯგუფისთვისაც.

გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევებისა, პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო აღწერილობის მიხედვით, მასწავლებლის მოვალეობაა პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინება სწავლების პროცესში და საჭიროების შემთხვევაში წინადადებების წარდგენა პროფესიული სტუდენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე მისთვის დამატებითი მხარდაჭერის გაწევის აუცილებლობის თაობაზე.

ასევე, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი მექანიზმები და საჭიროების შემთხვევაში, სკოლას ეყოლება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სასწავლო პროცესის ასისტენტი. შემუშავებულია მათი სამუშაო აღწერილობები.

<u>შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
პროგრამის ფარგლებში არ არის გათვალისწინებული პარტნიორი საწარმო.

<u>შესაბამისად, პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით</u>

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებას გაწერილი აქვს შრომის უსაფრთხოების წესები. კოლეჯის სასწავლო/სამუშაო გარემოში სათანადოდ არის უზრუნველყოფილი უსაფრთხოების ნორმების დაცვა. საგანმანათლებლო პროგრამა არ მოითხოვს განსაკუთრებულ უსაფრთხოების ნორმებს.
<u>შესაბამისად, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების თაობაზე“ შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის № 00021906 ბრძანება;
- შპს „ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის“ დირექტორის 2025 წლის 02 აპრილის №4631 ბრძანებით დამტკიცებული შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების/თანამდებობების ძირითადი ფუნქცია და თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა და საშტატო განრიგი;
- შპს ქართულ-ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2023 წლის 25 ოქტომბრის № 02/160 ბრძანებით დამტკიცებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით სარგებლობის წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ,,შპს ქართულ - ამერიკულ საერთაშორისო სკოლა პროგრესში პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვის წესის დამტკიცების შესახებ“ სკოლის გენერალური დირექტორის 2025 წლის 17 მარტის № 3765 ბრძანება.

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

სკოლის შეფასების სისტემა დარეგულირებულია რამდენიმე ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით და ყველა მათგანში გათვალისწინებულია შეფასების სისტემის მახასიათებლები: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა/ობიექტურობა.

შეფასების სისტემის მარეგულირებელი დოკუმენტებით გათვალისწინებულია პროგრამების განხორციელების მიდგომები. დამოუკიდებელი ბრძანებების სახითაა დამტკიცებული: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი; შუალედური შეფასების წესი.

ყველა ბრძანება შემუშავებულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით და მათში ასახულია სკოლის ხედვა დაწესებულების პრეროგატივას დაქვემდებარებულ საკითხებთან მიმართებაში.

ყველა ზემოაღნიშნული რეგულაცია ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების აპელაციის წესს.

<u>შესაბამისად, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური</u>

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

სკოლის გენერალური დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის № 21905 ბრძანებით დამტკიცებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ბრძანებით განსაზღვრულია: ვერიფიკაციის მიზანი, ვერიფიკაციის პროცესის მონაწილეები, ვერიფიკაციის მიმართულებები და მექანიზმები, ვერიფიკაციის პროცესი, რომელიც ასევე მოიცავს დასკვნის შედგენას და რეკომენდაციების გაცემას.

დოკუმენტი იმგვარადაა შემუშავებული, რომ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს პროცესში ჩართულ პირებთან მიმართებით.

<u>შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს</u>

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

სკოლის გენერალური დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის № 21905 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, სხვა არაერთ საკითხთან ერთად არეგულირებს შეფასების მტკიცებულებების მოპოვების, გადაბარების, შენახვის წესსა და პროცედურებს (მუხლი 6). აღნიშნული რეგულაციის მიხედვით, პროგრამის დასრულების შემდეგ შეფასების მტკიცებულებები გადაეცემა არქივს, სადაც ინახება უწყისის გაფორმებიდან არანაკლებ 3 წელი.

<u>შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით</u>

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასთან დაკავშირებით არსებული ყველა რეგულაციით გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტისთვის უკუკავშირის მიცემა და საჭიროების შემთხვევაში მხარდაჭერა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

განმავითარებელი ფუნქცია აქვს შუალედურ შეფასება.
სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, პროფესიული სტუდენტის აკადემიური უნარების გაუმჯობესების მიზნით, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები უზრუნველყოფენ მის ინდივიდუალურ კონსულტირებას (კონფიდენციალურობის დაცვით). ჯგუფური კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციის გრაფიკს ადგენს მხარდაჭერის სპეციალისტი.

<u>შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების თაობაზე“ შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის № 21906 ბრძანება;
- ,,შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა და შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“ დამტკიცების თაობაზე“ შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის № 21905 ბრძანება;
- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების თაობაზე“ თაობაზე“ შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის № 21868 ბრძანება;
- შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შუალედური შეფასების ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ შპს ქართულ - ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის გენერალური დირექტორის 2024 წლის 23 დეკემბრის № 21902 ბრძანება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შეფასება

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი (ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად)

27.06.2025
თარიღი

Nana Sharabidze 60001104705

Digitally signed by Nana Sharabidze
Date: 2025.06.27 16:37:07

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------